



ქართული
ლიბრარიონი


ნანახი უკი



1913

აგვისტო, № 8. მოსრდილთათვის.

საქართველოს
საგარეო
მინისტროს
ბიბლიოთეკა




დ ღ ი ა ბ ა გ ე

საქართველოს საგარეო
მინისტროს
ბიბლიოთეკა

თბილისი

ს. ჯარუ ბიბლიოთეკა

I — დღეობაზე, — სურათი	1
II — დაიძინე, — ლექსი ა. მჭედლაშვილისა	3
III — სკოლის ბიჭების თავგადასავალი, — ბ. ახოსშირელისა.	4
IV — ვაზაფხულის ბნელ ღამეს, — ლექსი ბ. ახოსშირელისა	16
V — ია, — დ. თურღოსშირელისა	18
VI — შეჩოხე, — (იგაფე) ად. შირიანაშვილისა.	21
VII — დიდებული მწყემსი, — თეო კანჯელაკისა.	23
VIII — უძველეს დროის ბავშვის თავგადასავალი, — შოთა ს. რობა კ. ღურგაძისა, (გაგრძელება) თარგ. შირიან ა. აშვილისა	28
IX — ბიძია კორნილის წისქვილი, — (ფრანგულით) ად. ბეკ- ლესიანისა	42
X — ველურთა კეთილი თვისებანი, — ილია ნაკაშიძისა.	46
XI — შედარებითი ანატომიიდან აღებული ფაქტები, — (დასასრული) გ. ანთელიძისა	56
XII — ვასართობი: შირადები, რებუსი და აღსნა.	63






დაიძინე...

დაიძინე... შენს ბაგეზე
სხივი ჰფინოს ქერაბიშმა;
გალაღებულს დედის მკერდზე
ნანა ვითბრას შეების სიშმა.

დაიძინე... სიზმარშიაც
ნახავ ალერსს, ნახავ შევებას...
შენ ბავშვი ხარ... ტირილშიაც
ვერ ჰგრძობ ხოლმე მწუხარებას. ..

ი. მკვიდლიშვილი.





სკოლის გიჟების თავ-გადასავალი.



ე პეტრე მქვია. ვთხოვთ მიცნობ-
დეთ. ესეც უნდა იცოდეთ: რახან
პეტრე მქვია, პაულე აღარ მერკმე-
ვა. ზედმეტი სახელი-კი მაქვს; მეტ
სახელად „ბოსტნის კუკს“ შეძახიან.
ეს სახელი პაპა-ჩემმა დამარტვა, რად-

გან მისი ბოსტნიდან ხილს ვიპარავდი ხოლმე. დამინახავდა-
თუ არა ბოსტანში, მაშინათვე დამიყვირებდა: „ჰაი, შე ბოსტ-
ნის კუკო! შე ბოსტნის კუკო;“ და გამომიღებოდა. მე ცა-
მეტი წლისა ვიყავი, ის ოთხმოცდა ცამეტისა; გაგიბარია,
რომ ვერ დამეწეოდა. მაგრამ, წარმოიდგინეთ, ერთხელ და-
შიქირა და ლაზათიანაც გამწეებლა.

აი საქმე როგორ იყო. პაპა ჩემს ერთი დიდი პოპლოხი-
ნა აწოწილა ქუდი ჰქონდა; ისეთი მდილი იყო, რომ, რო-
დესაც დაიხურავდა, გვეგონებოდათ—შაქრის თავი დაუდვიათ-
თავზედაო.



ერთხელ ჩვეულებრივად ბოსტანში ვისმუსნებოდი. ვნახე, გამოჩნდა პაპაჩემი. გადავბტი ლობეზე და დამართზე დავეშვი. გამომიდგა ძუნძულა. რომ ვერ დამეწია, მოიხადა ის შაქრის თავის ოდენა წოწოლა ქუდი, წამომისვა: შიგ კისერში არ მომარტყა! ის დასალობი ისეთი მძიმე იყო, რომ სამჯერ ყირაზე ვადამატრიალას. წამოდგომა ველარ მოვასწარი, რომ დამიჭირა და ერთი ლაზათიანად გამწყებლა!

II

მე ორი ძმა სხვა მყაედა, ორივე ჩემზე უმცროსი. ერთს ილიკო ერქვა, მეორეს სანდალა. პაპა ჩემმა იმათაც დაარქვა მეტი სახელები; ილიკოს „ჩილიკოს“ ეძახდა, სანდალას—„ლანდალას.“ ახიცი იყო ჩვენზე ეს სახელები!—ღმერთო, რა ცელქები ვიყავით, რა ცელქები! მთელი უბანი აკლებული იყო ჩვენგან. დილით, ვიდრე სკოლაში მივიდოდით, ვხაში თითო ჩვენგანს სამ-სამი ფანჯრის მინა უნდა ჩაეღწეა ან მეზობლისა, ან უცხო ვისიმე.

სკოლაში წასვლა ხომ ჩვენთვის სიკვდილი იყო. წამოვდგებოდით დილა-ადრიან გაბუტულები და დავიწყებულთ სლუკუნს. საწყალ დედა ჩვენს ეგონა, რაიმე სტკივათო, დედობრივის აღერსით მოგვეხვეოდა და გვკითხავდა:

— შეილებო, რა იყო, რათა სტირით! რა გტკივათ, აგრემც თავს შემოგველოთ დედა თქვენი?

ჩვენ უფრო ამოუშვებდით ტირილს და თითქმის ერთხმად წაპოვიძახებდით:

— დღეს სკოლაში არ წაველო...ოოო... ფეხ-საცმელს დახეული მაქვსოოო...ოოო...

საწყალ დედა ჩვენს ელდა ეცემოდა ხოლმე... იცოდა, რახან გავჭირვეულებოდით და შევეჯდებოდით ეშმაკის ცხენზე, იქიდან ველარავინ ვერ გადმოგესხამდა.

ჯერ მოგვიალერსებდა, შემდეგ დავწყევლიდა, მერე შე-



გვეხვეწებოდა; ბოლოს დაგვემუქრებოდა, რომ ამასთანავე მათივე
თქვენს ვეტყვი—ერთი კარგად გაგწკებლოთო, მაგრამ ჩვენ
ყურსაც არ ვიბერტყავდით; არ მივდიოდით სკოლაში, არა
და არა!

ახლა სკოლას რომ ვახსენებ, არ-კი გეგონოთ, ჩვენი
სკოლაც ვითომ თბილისის რომელსამე სკოლას ჰგავდა! არა,
გულშიაც არ ვაიტაროთ! ის სკოლა-კი არ იყო: ასე, რაჭუ-
ლი დაბოლოება რომ მივცეთ, ის იყო „სკოლუკა“... თუ
არა გჯერათ, ახლავე ავიწერთ ჩვენ სკოლის ავ-კარგიანობა-
სა, და ნახავთ,—თუ თქვენც ჩემთან ერთად არ წამოიძახოთ:
„ის სკოლა-კი არა, მთელი ვაი-ვაგლახი ყოფილა“—ო.

III

ვეებერთელა, უზარ-მაზარ ეზოში ორი პატარა შენობა
იდგა. ერთი იმ შენობათაგანი ჩვენ მასწავლებელს ეკუთვნო-
და. ჩვენი მასწავლებელი უბრალო, გაუნათლებელი მთავარი
იყო ჩვენივე სოფლის ეკკლესიისა.

სიმართლე უნდა აღიაროს ადამიანმა, ქართული კარგად
და ზედ-მიწევნით იცოდა. მთელი საღმრთო ისტორია, ძველი
ლოცვანი, დაბადების წიგნი და სხვა მთლად გაზეპირებული
ჰქონდა.

სულ ვიყავით ორმოცდა ათამდე მოწაფე; ზოგი ათის
წლისა, ზოგი თორმეტის და ზოგიც ჩვიდმეტ-თვრამეტისანიც-
კი. სწავლის გადასახადი ყველასათვის ერთნაირი იყო: თვეში
სულზე ათი შაური. დილის რვა საათზე მივდიოდით და სა-
ლამოს ექვს საათზე შინა ვბრუნდებოდით, რის გამოც ყველა
მოწაფეს სადილი თან მიგვქონდა. მაგრამ რა იყო ჩვენი სა-
დილი? ზოგს ყველი და პური მოჰქონდა აბგით, ზოგს პური
და ხახვი, ზოგს ნიორი და პური. სადილის შემდეგ ნივრისა
და ხახვის სუნით ისე ყარდა ჩვენი სასწავლებელი, ვინმე გა-



რეშე პირი რომ შემოსულიყო, რომელიც ამ „სურსათის“
ვან“ საკმელებს მაინცა და მაინც არ ეწყობა, — დარწმუნებუ-
ლი ვარ ასეთი ვინმე ძირს გიიშლართებოდა, თავს-ბრუ და-
ხვეული ჩვენი მასწავლებელი-კი ვერაფერს ვერა გრძნობდა.
ეს იმიტომ, რომ თითონაც ჩვენსავით „გუნდრუკის“ სუნი
სდიოდა პირიდან.

მასწავლებლის სახლის გვერდით ერთი დაბალ-საჩეხიანი
მიწური ოთახი იყო, და ეს ორმოცდა-ათამდე მოწაფე ზამ-
თარ-ზაფხულ სულ ერთად იქ ვიყრიდით თავსა და ჩვენ თი-
თონაც არ ვიცოდით — რასა ვსწავლობდით.

ჩვენ სკოლაში „კლასი“ ღ „განყოფილება“ არ არსებობდა.
დიდი თუ პატარა, უმცროსი თუ უფროსი მოწაფე ერთნაირ
ტაფაში ვიწოდით; თანასწორნი ვიყავით. ან კი როგორ არ
ვიქნებოდით თანასწორნი, როდესაც ადრე თუ გვიან მისულ-
მა მოწაფემ, ყველამ ყველაფერი ერთნაირად იცოდა. რაკი
ჩვენი ბებერი მთავარი (ოთხმოც წელიწადს აღარა უკლდე-
რა) მოწაფეს წერა-კითხვას შეასწავლიდა, მერე გალობას მი-
ჰყოფდა ხელსა. მერე რა მშვენიერი ხმა ჰქონდა: ბოზი, ჩა-
ხრინწული!..

დაბეჭდილი სასწავლო წიგნი ჩვენ სკოლაში არ არსე-
ბობდა: სულ მთავრის ხელთნაწერი იყო და იმავე ხელთნაწე-
რით გვასწავლიდა. სწავლის დაწყებისას გადმოიღებდა პატა-
რა რვეულს და გვკითხავდა:

— შეილებო, წერა-კითხვა ხომ არ დაგვიწყებიათ?

— არა, მამაო, — მივუგებდით ერთხმად.

— მაშ აბა წაიკითხეთ ეს ან-ბანი! და ვინც ტახტის
თავში იჯდა, მას გადასცემდა იმ რვეულს. ის წაიკითხავდა —
მეორეს გადააწვდიდა; მეორე — მესამეს, და ამგვარად ორმოც-
და ათამდე მოწაფე გადავიკითხავდით ხოლმე იმ ან-ბანსა.

თუ არავის შეგვეშლებოდა, გაუხარდებოდა; გრძელ, ბამ-
ბასავით გათეთრებულ წვერზე ხელს გადაისვამდა და პირზე
ლიმილი მოუვიდოდა.

— აბა, ახლა ყველამ ზეპირად სთქვით ან-ბანს ტყოდა ის.

ოჰ, ღმერთო, რა ტრიამული ატყდებოდა ხოლმე ამ ზეპირად ან-ბანის თქმის დროსა! ორმოცდა ათი მოწაფე, სხვა და-სხვა ხშივ ერთად გაჰკიოდა: „ანაააა!“ „ბააანააა!“ „გააანააა!“ და იყო ერთი ვაი—უშველგებელი!..

გათავდებოდა ზეპირი ან-ბანი, და ახლა ყველა ჩვენგანს მთელ ან-ბანს ზეპირადვე აწერიებდა. ბოლოს ხელნაწერს „ალექსანდრე ლუდვიკიანს“ ან „ქალ-ვაჟიანს“ წაგვიკითხავდა და, რა დაასრულებდა, გვეტყოდა:

— აბა, შეილგებო, ახლა ვიგალობოთ გალობა უფლისა და წავიდეთ შინისკენ.

— ვიგალობოთ, ვიგალობოთ!—ავღრიანდებოდით ყველანი ერთად. დავიწყებდით გალობას... საღ იყო ან ვინ იყო პირველი ხმის მთქმელი, მეორის ან მესამის?! ყველა ერთად მშიერი მგლებივით ეღმუოდით, და რომელი ჩვენგანიც ყველაზე მაღლა დაიყვირებდა, ის გვეგონა პირველი მომღერალი. ჯერ მთავარი დაიწყებდა მაღალისა და ბოხის ხმით:

„ნეტამც მაღალსა მთაზედა
 დიდი საყდარი აგვეგო,
 წირვა და ლოცვა გვესწავლა,
 სანთელ-საკმელი წაგველო!..“

ჩვენც ავყვებოდით, და იყო ერთი ზათქი და ზარი! ზოგი ალთას მიდიოდა, ზოგი ბალთას!

ზოგჯერ მთავარი ისე ეშხში შევიდოდა ხოლმე, რომ გალობიდან სიმღერაზე გადავიდოდა და შემოსძახებდა ბაიათს:

„აბ, წვიმავ, წვიმავ,
 შეიდ მაისისავ;
 მო, დაგვასველე,
 ნათელის დღისავ!“

ჩვენ ამ ბაიათებისა არაფერი არ გვესმოდა და პირველი შევეცქეროდით. დაათვაებდა თუ არა სიმღერას, ხელს მალა ასწევდა და დაიძახებდა:

— ჯან, ჯან, აჯან-ჯან!

— ეაშააა! — მიაძახებდნენ ზოგიერთი მოწაფენი და ეცემოდნენ ქუდებს, რადგან იცოდნენ, რომ ამით თავდებოდა ჩვენი დღეინდელი „სწავლა-განათლებლა“..

— შეილებო, — გვეტყოდა მთავარი შინ წასვლისას, — გზაზე ჭკვიანად იარეთ; ქვა არავის ესროლოთ; დედ-მამა არ გააჯავროთ; დილაზე ადრე მოდით და სახლი და ეზო-ყურე დაგავეთ. აბა, ვინძლო ყველანი თავის დროზე მოხვიდეთ და თქვენ წამოსაყვანად ბიჭები არ გამომაგზავნინოთ.

მართლაც, როდესაც სკოლაში წასვლა გვეზარებოდა და არ წავიდოდით, მთავარი გამოგზავნიდა სამიოდე უფროს მოწაფეს; ისინი წამოგვიკიდებდნენ ზურგზე და ისე ღრიალით, ძალის-ძალიად მივყავდით სასწავლებელში.

აი, ასეთი იყო ჩვენი „სწავლა-განათლების ტაძარი!“

ყმაწვილებო, განა რომ ჩვენი სასწავლებელი თქვენსას არა ჰგვანებია?! რა თქმა უნდა, რომ არა!..

IV

ერთ დღით სამნივე ძმანი ჩვეულებრივ ბუზლუნით წამოვდექით. ორშაბათი დღე იყო. სწორედ ორშაბათ დილაობით გვეძნელებოდა ხოლმე სკოლაში წასვლა, რადგან კვირა დღის თავისუფლებით უკვე დაზარმატებულნი ვიყავით.

— აბა, შეილებო, — მოგვიალერსა დედა ჩვენმა, — ნულარ ზარმაცობთ, მარჯვედ ჩაიცვით და წადით სკოლაში.

— მერე შეშა? შეშა არის? — შევეკითხეთ დედა ჩვენს ამაყად, რადგან ვიცოდით, რომ სახლში შეშა არა გვეკონდა

და ამით-კი მიზეზი გვეძლეოდა, რომ სკოლაში არ წავსულიყავით.

— დღეს არა გვაქვს, შეილებო, შეშა; არა უშავს-რა, ხვალ, მაგიერში, თითო ღერის ნაცვლად, ორ-ორი წაიღეთ,— გვითხრა დედა ჩვენმა.

— არა, თუ ასეა, არ წავალთ,— დავიღრიალეთ ჩვენ და გამოვცვივდით ეზოში.

დედა ჩვენმა რა ნახა— არაფერი გაეწყობოდა, წავიდა, მეზობლისას ისესხა სამი ღერი შეშა და ისე დაგვიყოლია, რათა სკოლაში წავსულიყავით.

ჩვენ შაინცა და შაინც არც გასამტყუნარნი ვიყავით, რომ უშეშოდ არ მივდიოდით სკოლაში. ყოველი მოწათის დედ-მამა ასე იყო მორიგებული მთავართან: თვეში ათი შაური ფულად და დღეში თითო ღერი შეშა. და როდესაც დილით რაიმე მიზეზისა გამო შეშას არ მიუტანდით, ღრიალით უკან გამოგვრეკავდა და მოგვაძახებდა:

— გასწით, დაიკარგეთ, თქვე გასაფიჩხებლებო! უშეშოდ ცარიელ-ტარიელნი რომ მოდიხართ, რა შავ ქვად მინდიხართ?! ზამთარში გათბობა არ გვინდა?!

აი ეს იყო მიზეზი, რომ დედა ჩვენს ასე დაეინებით ვთხოვდით შეშას წასაღებად.

შეშა გვიშოვა. ახლა ყველზე მოგვივიდა ჩხუბი. დედა ჩვენს სახლში ყველი გამოპლეოდა. ჩვენ გადაქრით უთხარით, რომ უყველოდ, ცარიელი პურით არას გზით არ წავიდოდით სკოლაში. რომ ვეღარა ვააწყო-რა, ყველიც მეზობლისაგან ითხოვა და რის ხეწნითა და ვაი-ვაგლახით გაგვისტუმრა სკოლაში.

ჩვენი სკოლის გზა ჩვენ პაპაანთ სახლისაკენ მიდიოდა. დავადექით სამნივე ძმანი აბგებით გზას, და პაპაანთ სახლს რომ დაუახლოვდით, წინ ერთი ჩვენივე სკოლის ნაცნობი მოწათე შემოგვიყარა.



— სად მიხვალთ?— გვეკითხა მან.

— სკოლაში. შენა?— შევეკითხეთ ჩვენ.

— შე დედა ჩემმა ცარიელი პურის შეტი არა მომცა-რა, და ამიტომაც დღეს სკოლაში არ წამოვადო. აგერა, — ხელი ვაიშვირა მან, — თქვენ პაპაანთ ეზოში თონე ხურს: მგონი — პურს აცხობენ; წავალ, ამ პურს გავხუხავ, იქვე გამოვძლები, წყალს დავლევ, მერე ვენახში დავიძინებ; შინ საღამოზე მივალ და დედა ჩემს მოვატყუებ, სკოლაში ვიყავი — მეთქი.

— ჩვენც აგრე ვქნათ! — დავიძახეთ გახარებულებმა; საშივენი გავყევით და პაპი ჩვენის თონეს გარს შემოვუსხედით. თონე ხურდა: შიგ პური იყო ჩაკრული; ხოლო გარშემო არც ერთი სულიერი არა სჩანდა.

— ბიჭებო! — მოგვმართა ჩვენმა სკოლის ამხანაგმა, — მოდი ცხელ-ცხელი პური მოვიპაროთ?!

ჩვენ ჯერ ვიფუარეთ, რადგან პაპი ჩვენისა გვეშინოდა, მაგრამ შემდეგ ცხელი პურის სუნმა წაგვიტყულია და დავთანხმდით. ორი ვეებერთელა პური ამოვხადეთ თორნიდან და წასვლას ვაპირებდით.

— დაიცათ, დაიცათ, ნუ მიდიხართ, — მოგვამძახა სკოლის ამხანაგმა, — ამ ცხელ პურს მოხრაკული ხორციც მოუხდება.

სთქვა ეს სიტყვები, ელვასავით გაქანდა, დაიქირა პაპი ჩვენის ერთი ჩასუტებული ვარია და საჩქაროზე კისერი წაჰგლიჯა. გაუფუფქავად, ნახევრობამდე ტყავი თან ააყოლა, ვაბტყენა და ისე გამოუნაწლავი ჩააგდო თონეში.

— ახლავე შეიწვება! — სთქვა მან.

ჩვენ გაკვირვებულნი შევყურებდით.

ორიოდე წუთის შემდეგ დაიძახა:

— მზად იქნება! აბა, ჩქარა კავიანი შამფური მომაწოდეთ.

შამფური იქვე იყო: მივაწოდეთ. ამოაგდო საცოდავად შეტრუსული ვარია; ჩვენსკენ ვადმოისროლა და მოგვამძახა:

— აიღეთ და გაიქეცით!

ვარიის აღება ვერ მოვასწარი, რომ ეზოში დიდდღა-ჩვენი გამოჩნდა; მის თან პაპა მოსდევდა. ჩვენ შიშით გონება დაგვებნა, ავირ-დავირიენით... ვარიას ვინა ჩივის, აბგე-ბიკ ძირს დავყარეთ და დავეშვით დაღმართზე. ჩვენი ამხანაგიც თან აგვედევნა; შეიქნა ერთი ყვირილი, ძრიაპული.

ნახევარ ვერსის მანძილზე ისმოდა პაპა ჩვენის შემდეგი სიტყვები:

— აი, ეგ გასაფუტქებლები! ეგ სასოება წასაწყმენდი! ხალხნო, ცოცხალ-ცოცხალი ვარია ჩაუგდიათ გახურებულ თორნეში! დამაქადონ, გავწყვეტავ, გავეუთავ იმ ჩემ შეჩვენებულ შეილის-შეილებს!..

ჩვენ, ამ სიტყვების გამგონენი, შიშის ზარმა აგვიტანა და სამი ვერსი გზა ისე გავიბრინეთ, რომ ერთი რიგიანად არ ამოგვისუნთქია.

შევედით საღლაკ ხშირს ტყეში და იქ გავნაბეთ სული. კარგა ხანს ვიყავით ასე გადაკარგულნი, მერე გონს მოვედით და ნამტირალევი თვალებით გადავხედეთ ერთმანეთს. ყველაზე ძალიან ჩვენი სკოლის ამხანაგი იყო შეწუხებულ-დაღონებული, რადგან გრძნობდა, რომ ყველაზე უმეტესი დამნაშავე ის იყო.

— ეს რა ჩავიდინეთ?—სთქვა მან გამწარებულის კილოთი, —ყველაფერი ჩემი ბრალია! რა მრჯიდა? რა მაცოდვილებდა? განა ჯერ არ წავსულღვარ სკოლაში ცარიელი პურით?! ახლა პაპა თქვენი ხომ სუყველას დაგვხოცავს!

სთქვა ეს სიტყვები და დაიწყო ტირილი. ჩვენც გული ამოგვიჯდა მის ტირილზე და დავიწყეთ გულ-შემზარავი ღრი-ალო.

ყველაზე შესაბრალისი ჩვენი პატარა ძმა იყო: საცოდავს სახლიდან გამოსვლისას დაგლეჯილ-დაფლეთილი ჩუსტები ეცვა და გამოქცევის დროს შიშისაგან გზაზე დაქარგოდა; იმ ჯაგებსა და ეკალ-ნარში შიშველი ფეხით დადიოდა.



როდესაც ტირილით გული ვიჯერეთ, დავიწყეთ ლაპარაკი: „სად წავიდეთ, ვისთან წავიდეთ, რომ გვიშველოს, ორიოდ დღით შეგვიფაროს, ვერაფერა პაპას გული მოუღბება?!“

იმ ტყიდან-კი უთუოდ უნდა გავსულიყავით, თორემ დამე ნადირები შეგვჭამდნენ.

დიდი ფიქრის შეპლევგ, ჩვენმა სკოლის ამხანაგმა გვირჩია:

— აქედან თორმეტი ვერსის მანძილზე სოფელი ფშაველია; იქ მე დის კმარი მყავს; ის ძალიან კარგი კაცია. წავიდეთ, გამოუტყდეთ ყველაფერში და თითონ იცის, როგორც მოგვივლის!..

ეს რჩევა ყველას ქუაში დაგვიჯდა. გამოვედით ტყიდან და დავადექით გზას. შვიდიოდე ვერსი რომ გავიარეთ, ალაზნთან მივედით. ალაზანში გასვლა არც ერთ ჩვენთაგანს არ შეეძლო, რადგან პატარები ვიყავით და წყალი ვაგვიტაცებდა. ჩვენ ოთხში ყველაზე უფროსი ჩვენი სკოლის ამხანაგი იყო და იმანაც-კი ვერ გაბედა გასვლა.

ხიდი ვექებეთ, ვერ ვიპოვეთ. გზაში ერთი შეძროხე მოდიოდა; ალაზნის პირად მდგომნი რომ დაგვინახა, შეგვეკითხა, სად მიდიხართო.

ჩვენმა სკოლის ამხანაგმა მოატყუა:

— სოფელ ვარდისუბანში დაი მომიკვდა; სახლში უპატრონოდ ასვენია და ახლა ფშაველში მივდივართ, რომ ჩემ სიძეს შევატყობინოთ; მაგრამ უბედურება ეს არის, რომ წყალში ვერ ვავსულვართ.

შეძროხემ დაიჯერა; ზედა ტანსაცმელი გაიხადა, თითო-თითოდ წამოგვიკიდა და გავგიყვანა ალაზანში. გახარებულნი გაუდექით გზას. ოდნავ შებინდებული იყო, რომ სოფელ ფშაველში შევედით! როგორც იყო, კითხვის-კითხვით ვიპოვეთ ჩვენი ამხანაგის სიძის დუქანი. დაგვინახა თუ არა, გაშტერებული გლეცა და ჩასვლის მიზეზი გვკითხა. ჩვენც სუსვლაფერი დაწვრილებით უამბეთ.

— აი, დაგწყველოთ და დაგშამათოთ ღმერთმა — კარგი საქმე თქვენ ჩაგიდენიათ! — წამოიძახა და ჩვენ სკოლის ამხანაგს ყურები აუწია! — წამოეთრიეთ სახლში, დაიძინეთ; დილაზე ადრე კაცს გავაყოლებთ და წაეთრიეთ თქვენ-თქვენს ბინაზე!..

წაგვიყვანა თავის სახლში, იქ კარგა გვავახშმეს და დევქით თუ არა, დალილილ-დაწყვეტილთ მაშინვე ჩაგვძინებოდა.

V

ჩვენ გამოპარვის მეორე დღეს სოფელი ვარდისუბანი და ქალაქი თელავი ფეხზე დამდგარიყო. რადგან იმ ღამეს არ გამოვჩნდით, პაპასა და მამა ჩვენს უფიქრიათ: „უეჭველად ნადირები დაფლეთავენდნენო.“ მთელი ტყე და ღრე სულ გადაებრუნებინათ თურმე: ჩვენს ტანსაცმელს ეძებდნენ, რათა ნამდვილად დარწმუნებულიყვნენ, მგლეზმა შეგვეპამეს თუ არა.

ფშაველში ჩვენ სამი დღე დავყავით, რადგან ჩვენი ამხანაგის სიძემ სანდო ვერაფერს იპოვნა, რომ ვარდისუბანში გამოვეტანებინეთ და თვითონ-კი დუქანს თავი ვერ დაანება. მეორე დღეს პაპი ჩემის ნამოჯამაგირევი შეხვდა და იმას გამოგვაყოლა. შუა დღის ხანი იყო, რომ თელავში ავედით.

ღმერთო, რა ამბავი შეიქნა! მთელი თელავის ქალი, კაცი, დიდი და პატარა სულ თან აგვედევნა და ვარდისუბანამდე გამოგვეყვნენ.

ჩვენს დედ-მამას და სხვა ნათესაებს რომ ვაფგოთ, მაშინათვე ჩვენსკენ გამოქანებულიყვნენ მოსაგებებლად. პაპა ჩვენიც მათში ერია... როდესაც დავინახეთ, შეგვეშინდა, გაქცევა დავაპირეთ, მაგრამ დაგვიპირეს!..

მოვიდა მამა ჩვენი, გადაგვეხვია და უსიტყვოდ დაგვშორდა; დედამ კრემლ-მორეთულმა კოცნა-აღერსი დაგვიწყო.

ახლა პაპი ჩვენის განაჩენს ველოდით; გვეგონა გაგვეწყობლავდა, მაგრამ არა: სულ სხვაფორივ დატრიალდა საქმე.



მოვიდა. დაგვიახლოვდა, ის პოპლოზინა წიწაკის ქილა მოიხადა, გადაგვკოცნა, პირჯვარი გადაიწერა და წარმოსთქვა:

— ღმერთო ყოვლად შემძლებელო, ყველას ასე ჯანსაღად და უვნებლად დაუბრუნე თავისი დაკარგული შვილებიო!.. მობრძანდით. თქვენი ქირიმეთ, დღეს ყველანი ჩემი წვეულნი ხართო... ეზო დიდი მაქვს, ნუ გეშინიანთ—დაგიტევთო... სთქვა პაპა ჩვენმა და ჩვენთან მყოფი ხალხი სულ ერთიან ეზოში მიიწვია. მოჰხადა ღვინის ქვევრებსა და სიხარულისაგან მთელი დღე ის პოპლოზინა ქუდი სულ ცაში ისროლა!..

ჩვენა?!

ჩვენც მას შემდეგ გონს მოვედით და სწავლისა და წესიერი ყოფა-ქცევის მეტი აღარა გვახსოვდა-რა!..

ბ. ახონპირელი.





გაზაფხულის გნელ ღამეს.



რიალებენ ფოთლები
გაზაფხულის გნელ ღამეს...
—ნეტავ მამცნო, რას გრძნობენ:
ტანჯვისა თუ სიამეს?!

ნიაე-ქარი მიმოჰქრის,
შავ ღამეში შობილი...
—ნეტავ მამცნო, რას მღერის
ასე ხმა-შეწყობილი?!

ნეტავი შემაერთა
მე ბუნების სულთანა:

- ღარ დავშორდებოდი,
- კვებობდი სულ თანა!...

ძნელი არის გაგება
უტყვე ბუნების სულისა;
მასშია ჩამარხული
ნალელი ჩვენის გულისა!..

მაშ ჰეი, თქვენ, ფოთლებო,
წუთიერად შობილნო;



უბედური დღისანო,
 სევდას გადაქლობილნო,—

იშრიალეთ, ვიდრემდე
 სიკოცხლის დღეთ დაძხარით;
 ისიამეთ ბნელაშიც,—
 მღერით ტაში დაჰქარით!..

შემოდგომის გრიგალი
 გლოვის ძაძას გიკერაეთ;
 ის არა ჰგავს ნიაფ-ქარს,
 მკაცრად შემოვიბერაეთ;

ჩამოგწყვიტაეთ ალვის რტოს,
 გაგაფრენთ სულ სხვა მხარეს,
 და შიდაშოს შიშოჰტენს
 გლოვას და სიმწუხარეს!..

შრიალებენ ფოთლები
 გაზაფხულის ბნელ ღამეს...
 —ნეტავ მამცნო, რას გრძნობენ:
 ტანჯვასა თუ სიამეს?!.

ბ. ახოსპირელი.





0 ა.



ა ლამაზად მოუღერებია იას ყელი! მუშკ-
ამბრის სურნელება გაუქრია თვის საკმე-
ველით.

იცისკრის აღმასის მტვერით ზავერდის
გული დაუფერია და იცინის, იცინის ნეტარებით...

იადონი იქვე ახლოს ჩამოაგდარა და თავ-დავიწყებით
უგალობს.

იგი გალობა მხოლოდ იას ესმის, რადგან სხვა ყვავილთა
სასმენელი ისე ნაზ-მგრძნობელი არაა.

— რა-რა-რა... — მზიანობს მთის ნაკადი და ვერცხ-
ლის ცვრებს აკურებს იის მუქ ფოთლებს...

— რა კარგია, რა კარგი სიციცხლე!

— გენაცვალე, მზევ! ცალი თვალით ნუ იყურები მთის
მწვერვალიდან. ამოღაფლადი, ამოემართე სავსე შვენებით.

ნაკადო, მალხაზო ნაკადო, გვერდს ნუ მივლი, მომია-
ხლოვდი, მსურს დავსტკბე შენის ლუკლუკითა.

— ვიშ, ვიშ, ეს რა დავინახე?!

ნაკადო, შენს სპეკალ გულში ეს რა ნაზი ყვავილი ამო-
სულა?!

რა მომხიბლავია!

რა წარმტაცია!

ლამისა და დილის შეყრის ეამს, შეუქურა რომ საოცნებო მშვენებით ჰკიაფობდა—ცის ქათიბი ისეთი ლაყვარდი არ იყო, როგორც ამ ყვავილის ჰაწია ფურცლები.

მთვარის სხივებში მოკიაფე მიონის თვალნი ისე არ ციმციმებდნენ, როგორც ამ ყვავილზე თრთიან აღმასის ცვრები.

რა ბედნიერი ხარ, ნაკადო!

ისედაც წარმტაცს გაზღაპროსნებს მისი კდემა; ისედაც ზმა-ტკბილს გამუსიკალებს იღუმალთ მის ფოთოლთ რხევა...
— კის, კის... კის...—გადიკისკისა ნაკადმა.

რა გულუბრყვილოა!

თავის თავსა სჭვრეტს და აოცებს თვის სიმშვენიერე.

ეს შენა ხარ, შენ, ყვავილთა თვალო!

ჩემმა მოსარკულმა ზვირთმა შენი სახე აღბეჭდა. ჩემმა ანარეკლმა აათამაშა შენი შვენების მხოლოდ აჩრდილი.

სინამდვილეში ათ-წილ უფრო მოშხიბლავი ხარ.

შენ ხარ ასული საგათენებო ოცნებისა.

განა არ გახსოვს, ცისკრის სიზმრისგან რომ დაიბადე?

განა შენ ფირუზის აკვანს არ არწევდნენ მოვერცხლოლი მთვარის სხივები?

გაციაგებულ ვარსკვლავთა ზომლმა თვის უკანასკნელ ჰანგებისაგან ვის მოუქარვა ტკბილი ნანინა?

შენ, მხოლოდ შენ, გრძნების ღიმილო!

ქალაქიდან გახიზნული სასოებით უყურებდი ამ სანახაობას.

კაეშნით მონისლული სახე მეღიმებოდა... ყარიბი თვლები მიბრწყინდებოდა...

სული ნაკადულსავით მიხალისდებოდა...

გრძნობის ქნარზე სიმებს ემართავდი იის სამკობად.



აი მოემართე კიდევ, და ის იყო სიმნი უნდა ამეშეტყვე-
 ლებინა, რომ...

კენესა მესმა...

შევეკრთი...

გამაერყოლა...

ქნარმა განწირვით ჩაიქვითინა

იას, პაწაწა იას ორი ფოთოლი ჩამოვარდნოდა...

თრთოდა...

ცახცახებდა...

სრემლად დნებოდა...

მთელს ტანში იზნიქებოდა...

თითქოს შიშველ მახვილს ერიდებოდა...

საბრალო ია!

რისთვის დასცვივდნენ ფოთლები? ხომ არავინ მიჰკარგ-

ზია?

დილის ქათქათი ხომ ღობედ ჰქონდა შემოვლებული:
 ნაკადი და იადონი ხომ ჰგუშავებდნენ ყოველ წამისად.

შეც ხომ მისთვის წამწამებს ვასარებდი...

ფაქიზი გრძნობის სრემლებით ვრწყავდი.

ჩვენმა ქვითინმა ია შეარხია და... და ზედი ზედ ჩამო-
 ცვივდა დანარჩენი ფოთლებიც...

მოკვდა იის ღიმილი!

ფოთლები-კი ჯერ ისევ საუცხოო სურნელს აკმევდნენ...

იგინი ჯერ ისევ ნორჩნი აყენენ... მოხასხასენი...

დ. თურდოსპირელი.



მ ე ჩ ო ხ ე .



(იგავი).

ეჩოხემ თავის ხელობის წუნება დაიწყო.

— აბა, რა გამოდის ჩემი საქმიანობიდან: წლითი-წლობამდე ერთ ალაგას ვზივარ, ნემსის ხმარებით თვალებს ვიწყალებ, ურიცხვ ჩოხასა ვკერავ, ქვეყანასა ერთავ და შინც სილარბიდან ვერ ამოვსულვარ და ერთხელ ხერიიანად კუჭი ვერ გამოძღვია: შირჩენია სხვა ღონეს მიემართო და, რითაც ადვილი და მალე გამდიდრება შეიძლება, იმ გზას დავადგეო.

ამის შემდეგ შიატოვა მეჩოხეობა და გადასწყვიტა ვალეების აღებით გამდიდრება. ესესხა ერთს ფული და საში თვის ვადა დაუდო.

საში თვის შემდეგ მოვიდა გამსესხებელი და მოვალეს ფული მოსთხოვა.

— გენაცვალე, ბოდიშს ვიხდი, მაპატიე და ერთის თვით კადევ მადროვეო.

მოვიდა ფულის პატრონი ერთი თვის შემდეგ:

— უკაცრავად, — უთხრა მოვალემ, — ერთი კვირის შემ-



დევ რომ მობრძანდე, თავნსა და სიარგებელსაც უნაკლოდ გაბარებო.

ერთი კვირა გავიდა. გამსესხებელი ვალსა თხოულობს.

— გეფიცები სინილისს, ხვალ უსიკვდილოდ გადავიბლიო.

ეს მეორე დღეც დადგა; მეორეს მოჰყვა მესამე, მესამეს—მეოთხე; მაგრამ ჩვენ მოვალეს არც ფიცი სწყინდებოდა, არც უარის თქმა. თხოვნითა და სიარულით მოღლილი გამსესხებელი იძულებული შეიქნა გაცემულ ფულზე სრულიად ხელი აეღო. რასაკვირველია, ვალების მოტრფიალე ერთ მსხვერპლზე არ შეჩერდა: სესხულობდა ბევრისაგან დავალის გასტუმრება-ვი ფიქრდაც არ მოსდიოდა.

მოგეხსენებათ, დაფარული არაფერი რჩება: ყველამ შეუტყო უკადრისი საქციელი და ფულით ხელი აღარაფინ გაუმართა.


ჩარა-გაწყვეტილმა მეზობემ ისევ თავის ხელობას მიჰმართა; მაგრამ ნდობა-დაკარგულ ხელოსანს ახლო აღარაფინ მიეცა; ჩოხის შემკვეთი აღარ აღმოუჩნდა და, ამნაირად, დანარჩენი თავის სიცოცხლე მათხოვრობაში გაატარა.

ალ. მირიანაშვილი.





დიდებული მწყემსი.



ირიშში—შავი ზღვის პირად მდებარე ქალაქში ცხოვრობდა შესანიშნავი სახელოვანი მხატვარი აივაზოვსკი, ტომით სომეხი. იმასთან მივიდა რამდენიმე წლის წინად ერთი მკვირცხლი, სიცოცხლით სავსე სოფლელი ბიჭი და სთხოვა ხატვა ესწავლებინა.

დაგლეჯილ-დაფლეთილ, მზისაგან დამწვარ-გახუხულ, თმა-აბზრძგულ ბიჭუკელას ახირებულმა თხოვნამ ჯერ გაანკვიფრა ხელოვანი მხატვარი და პირს ღიმილი მოჰგვარა. მაგრამ მერე დააკვირდა ბავშვის დამშვიდებულ სახეს; ჩააცქერდა ჭკვიანურად გამომეტყველ თვალებში, მოისმინა იმისი დაბეჯითებული ხვეწნა და დაფიქრდა—ცნობის მოყვარეობა აქვდა; მოისვა ბავშვი გვერდით და გამოჰკითხა დაწვრილებით ვინაობა და მასთან მისვლის მიზეზი.

პატარა ბიჭუკელი გამოდგა ვიღაც არქიპო ყუინჯი, ხელობით მწყემსი, რომელსაც სმენოდა ამ დადებული მხატვრის ქება-დიდება და კითხვა-კითხვით მისულიყო მასთან ათასი ვერსის მანძილიდან.

მთელი წლობით ბუნების წიაღში მყოფი, ერთ ადგილიდან მეორეზე გადანაცვლებით თავის ცხვრის ფარასთან, პა-



ტარა მეცხვარე ვაეტაცებინა ბუნების სიმშვენიერეს, ისე მოეხიბლა მის სიდიადესა და სხვა-და-სხვა ფერობას, ისე შეეყვარებინა ის თავისი მგრძნობიარე გულით, რომ სულ ერთ და იმავე ფიქრებით იყო ვატაცებული: რა საშუალება ეხმარა, რომ სამუდამოდ ჩაბეჭდოდა გულში, რაც ასე აოცებდა, ხიბლავდა მის ნორჩ გრძნობასა და გონებას.

ვინ იცის, რა ღონისძიებით და საშუალებით ეშოვნა ბავშვს სამხატვრო მასალა და ეხატა გულ-მოდგინედ ყველადფერი, რაც თავაღში ხედებოდა: მკენარეები, გორაკები, ზღვა, ცხვრები, ქოხები, მდინარეები და სხვა.

ხატავდა ის მილულად, რომ თავის ტოლ ბიჭებს არ დაენახათ და მასხარად არ აეგდოთ. მაგრამ მისდა სამწუხაროდ ეს შრომა მას ვერ აკმაყოფილებდა, გულის წადილს ვერ უსრულებდა, რადგან ვერ გამოეყვანა და ვერა სინამდვილით, სავსებით ეს ბუნების ნაწილები, თუშკაც-კი ცოტათი მიემზგავებინა.

აი ეს თავისი ნახატები, ანუ ნაბლაჯნები, აჩვენა მწყემს-მა დიდებულ მხატვარს და სთხოვა გაბედულად და თავმომწონედ, რომ უკეთესი ხატვა ესწავლებინა.

აივაზოვსკიმ შეუსრულა არქიპოს სურვილი, აიყვანა მოწაფედ და დააწყებინა წესიერი ხატვა.

გავიდა მას შემდეგ რამდენიმე ხანი.

ყუინჯი განვითარდა ხატვაში და წაეიდა პეტერბურგში. ათასგვარ დაბრკოლებასთან ბრძოლის შემდეგ გაათავა ხელოვნებათა აკადემია და გახდა შესანიშნავი მხატვარი.

როდესაც იმან გამოფინა თავისი პირველი ნაწარმოები — „თათრის სოფელი მთვარიან ღამეში“ — მნახველები დიდ აღტაცებაში მოვიდნენ. დასურათებული ღამე ნამდვილ ღამეს წარმოადგენდა: შესტკეროდნენ სურათს და სრულიად ავიწყდებოდათ, რომ სურათის წინ იდგნენ, ისეთის სანამდვილით ანათებდა მთვარე თავისი საოცნებო შუქით ნამდვილ



სოფელს. მხატვრები გაოცებულნი დარჩნენ ყუინჯის ხელოვნებით. მთელი რუსეთი იმაზე ლაპარაკობდა. მისმა შემდეგმა სურათებმა კიდევ მომეტებული ცნობის მოყვარეობა და აღტაცება გამოიწვიეს საზოგადოებისა, და ყველამ დაამტკიცა ყუინჯის დიდი მხატვრული ნიჭი.

ცხოვრებაში ყოველივე საქმეს მოშურნე და მტრები უჩნდება; აქ კი მოშურნენი ხმას ვერ იღებდნენ, ისე დაიპოვრჩილა ისინი ზეგარდმო მოვლენილმა ნიჭმა.

მხატვრულ ნიქს გარდა იმან თავის ხელობით ხალხი მიიზიდა სხვა ნიჭითაც, რომლის წინ თავს იხრიდნენ მტრებიცა და მოყვანნიც. რომლითაც უკედავ ჰყო მან თავისი სახელი: ის იყო ადამიანი, ამ სიტყვის უწმიდეს მნიშვნელობით: — ღმობიერი, მოწყალე; მიუდგომელი, მოუსყიდველი, მშვიდი და წმინდა გულის პატრონი; იმას უყვარდა ხალხი, უყვარდა სიმაართლე. ხელოვნება ყუინჯისათვის იყო წმინდათა წმინდა, და ამ სიყვარულს უნერგავდა გულში თავის მოწაფეებსაც, რომეღთაც შეეფთვისა სულით და გულით, ზრუნავდა მათ საქიროებაზე, როგორც თავის საკუთარზე. მოწაფეებმაც მალე დაიძახებურეს მისი სიყვარული, როგორც მზრუნველი მამისა.

ყუინჯის სურათები დიდ ფასებში იყიდებოდა, და ამითი იმან დიდი სიმდიდრე შეიძინა. დიდი შეძლება, სიმდიდრე საზოგადოდ აფუჭებს ადამიანს, ხალხს, მაგრამ ყუინჯი არ ეკუთვნოდა იმ ხალხს: თავის აუარებელ სიმდიდრეს ის ხარჯავდა მხატვრების სასარგებლოდ, რომ არ დაღუპულიყო ხელმოკლე, მაგრამ ნიჭიერი ადამიანი — უსალსრობით.

შველოდა ის ყველას დაფარულად, შეუმჩნევლად. ხელოვნებათა აკადემიაში არსებობდა ურთიერთთა დამხმარებელი კასსა, სადაც ყველას შეძლებისა დაგვირად შეჰქონდა თავისი წვლილი ერთი მეორის დასახმარებლად, მაგრამ კასაში ფული ნაკლებად გროვებოდა, გაჭირვებულთა რიცხვი-კი ბევრი იყო: ყველას ვერ აკმაყოფილებდა და ნახევარზე მეტ მთხოვ-



ნელგებს უარს ეუბნებოდნენ. ყუინჯი კი თავგამოდებით და სამართლიანად ამტკიცებდა: რაკი ადამიანი თხოულობს, შემწეობაც უთუოდ უნდა მიეცესო, გაუკითხავი არავინ არ უნდა დარჩესო...

რადგანაც საღსარი არ იყო, ყუინჯი სხვების შეუქმნველად გაიხმობდა ხოლმე გარედ კასის მდივანს, და ის რამდენიმე წამის შემდეგ გამოაცხადებდა, უცნობი პირისაგან იმდენი შეპაწირულება შემოვიდა, რომ ახლა ყველა მთხოვნელს გასწვდებო. ეს უცხო პირი ყოველთვის ყუინჯი იყო.

ამგვარად დახმარების გარდა ის ამზნევებდა ყველა სულით დაცემულს, აძლევდა შესაფერ დარიგებას, ასწავლიდა, ეფერებოდა, ანუგეშებდა.

ყუინჯი იყო შრისხანე სახის კაცი, კილო ლაპარაკისა ჰქონდა მკვებე, მტკიცე და შეუპოვარი, მაგრამ ყველამ კარგად იცოდა, თუ რა კეთილი და ჩვილი გული იმალებოდა ამ შრისხანე ადამიანში და ამიტომ აღმერთებდნენ, თაყვანსა სცემდნენ მას.

თავისი შრომით შეძენილი დიდი მამული ყირიმში იმან შესწირა სნეულ და მავრალ ხალხს, ხოლო ფულები—გაჭირვებულ მხატვრებს. თავის თავზე ხარჯვა ენანებოდა და ისე უბრალოდ ცხოვრობდა, რომ არავის არ სჯეროდა იმისი სიმდიდრე...

ხალხთან ერთად იმას ავადმყოფი პირუტყვი და ფრინველებიც ეკოდებოდა და საცა-კი შეხვდებოდა ამგვარებს, შინ წაიყვანდა და მამობრივ ზრუნველობას უწევდა. ის მუშაობდა სხვებისთვის და თავისთვის-კი არავის არ ამუშაევებდა, ასე რომ მოსამსახურეც-კი არ ჰყავდა. ადამიანი, რომლის დიდ ნიქთან მოკრძალებით და მოწიწებით თავს იხრიდა მთელი ქვეყანა, ფეხსაცმელების წმენდას, ოთახის დალაგებას, სამოვრის დადგმას და სხვა იმისთანა უბრალო საქმეების კეთებასაც-კი არ თაკილობდა, არ მიაჩნდა თავის ღირსების დამამცირებლად.

მეუღლეც თავისი ხასიათისა ჰყავდა ყუინჯის. ის უბრალო მუშა დედაკაცივით ამზადებდა საკმელს, რეცხდა სარეცხს, უვლიდა ოჯახს და თავის თავს ნაკლებ ყურადღებას აქცევდა.

მოკვდა ყუინჯი ისე, როგორც ცხოვრობდა. მთელი თავისი ქონება უანდერძა მოწაფეებს, რომლებიც სიკვდილის ღამს განუშორებლად გარს ეხვივნენ, უვლიდნენ, თავს დასტიროდნენ და ბევრი იმათგანი დღეს სახელოვანი, მხატვრები არიან ყუინჯის წყალობით...

თეო კანდელაკი.





უკველეს ღროის გავშვის თავ- გადასავალი.

(გაგრძელება).

VII

გ ა ნ დ ე უ ნ ი ლ ი .

განდევნილი.—ღარიგება.—კრეკის სწოლი თათხი.—უსიამოვნო გა-
მოღვიძება.—იღუშალი თბილი და წუბოთხი თასმა.—გადაწვევტი-
ლება და კუდის ზრასვა.—ღამე სიკვდილით დასჯა.—უსიამოვნო
კონცერტი.—განთავადი.—ვეება მსოფრია.—ვინ იფო დამარცხებული?—
უკირალი ტეეში.—კრეკის განცვიფრება.—მეზაჯრობის მუკთბრები.—
უნთბ ქვეყნაში მიდიან.—დიდი თეთრი ჰელაიანი.



არმოიდგინე, ეორე, რომ მე და შენა ვართ
შშვენიერ, დაბურულ მუხის ტყეში, მღვიმეზე
მოშორებით. შეხედეთ, ეს რა სულდგმულია?
ვინ არის ეს, რომ მარტოდ-მარტო მობარბა-
ცებს, არ აშჩნევს, რომ ბინდდება ღ თანაც ასე
მკრთალიად მოჩანს ამ უშველებელ ხეებ შორის,
რომლებსაც დიდებულად აუყრიათ ტანი, მძლავრად განურ-



თხავთ უფოთლო ტოტები და ეკკლესიის სვეტდბსავით თულან.

ეს ობოლი მგზავრი კრეკია!

პელიმ და რიუგმა გააკილეს ის, როგორც ნაბრძანები ჰქონდათ, მერე-კი, როცა დაღამდა, ტყეში შესვლის დროს, დაღონებულებმა დასტოვეს და უკან დაბრუნდნენ; უკანასკნელი დარიგება მისცეს: ღამე ყოველთვის ხეზე გაატაროს, რადგანაც ამისთანა საწოლი უშიშარია ყოველ შემთხვევაში; უნდა იაროს მხოლოდ დღე: დღით პირი უნდა ჰქონდეს მზისკენ მიქცეული; დღე-კი ზურგი.

ამ დარიგებით, ჩემო ძვირფასო ეორე, შენც შეგეძლო გესარგებლა ტყეში მოგზაურობის დროს; ხოლო ზაფხულში. როდესაც მოღუშული ცა დაფარულია სქელ ღრუბლებით, ამისთანა რჩევის შესრულება დიდ განსაცდელში ჩაგაგდებდა. ველურ მოხეტიალე ხალხს ჩვენ დროშიც შეუძლია გაიგოს, სად არის მზე, ხის ქერქის და მცენარეების საშუალებით; მზე მათთვის არასოდეს არ არის უბილავი, რაც უნდა დამალული იყოს ღრუბლებში.

ისინი ძალიან მოღრუბლულ ცაზედაც-კი მიხედებიან სად არის მზე, თავის დღეში არ შესცდებიან: ნამდვილად გიჩვენებენ მის ადგილს, სადაც უნდა იყოს.

სწავლულ-მკვლევართ, რომელთაც უფრო დაეჯერებათ, ბევრჯერ დაუმტკიცებიათ ეს უცნაურობა. ნისლით დაბურულ მაღალ მცენარეებში და ლერწამში, კაობებში ან თვალუწვედენ მინდორში ხეტიალის დროს რამდენჯერ გადუწყვეტიათ, რომ გზა დაჰკარგეს, და ამის გამო უიმედობა ეუფლებოდათ.

ველური მზღებლები-კი დასცანოდნენ იმით: თითს აიშვერდნენ ხოლმე უბილავ წერტილისაკენ ბნელ სივრცეში და დაშვებებით ამბობდნენ: „მზე აი იქ არის; მაშ ჩვენი გზაც იქით უნდა მიდიოდეს. ჩვენ ნამდვილ გზას ვადგივართ წავიდეთ!“

შემდეგ, რწმუნდებოდნენ რომ მზღებელნი არა მხოლოდ
დნენ.


ასეთი გასაკვირველი და შეუცდომელი თვალის გამჭრია-
ხობა, რასაც ჩვენი დროის ველურებსაც ვაძინევთ, როგორც
აღბად შენ თვითონაც მიხედი, ყორე, მათ წინაპრებს, უძვე-
ლეს დროის ველურებსაც ჰქონდათ. ამიტომ კრეკიც, ბავ-
შვობიდან შეჩვეული ყოველნაირ ბუნების მოვლენათა და-
კვირვებას, რაც ცხოვრებაში გამოადგებოდა და საშუალებას
აძლევდა ყოველნაირ გაკვირვებიდან თავი დაეღწია, ახლა სრუ-
ლიად არ ფიქრობდა, რომ ტყეში გზას დაჰკარგავდა, თუმცა
ბავშვი იყო და მშობლებს მოშორებული.

მაგრამ იმას-კი ფიქრობდა, რომ ღონე არ შესწევდა ნა-
ღირებთან ან აღამიანებთან საბრძოლველად; დახმარებას არ-
საიდან არ ელოდა და მიუხედავად მისი გულადობისა და გამ-
ჭრიახოებისა, ფიქრობდა: ისე დავიღუპები, რომ ვერ ვიპოვი
იმ უცნობ ხალხს, სადაც ახლა თავშესაფარის სათხოვნელად
მივდივარო.

კრეკი მიდიოდა დაფიქრებული; აკანკალებული სხეულის
გასამაგრებლად ერთი მცენარის ფესვს ლექდა; ამ ფესვის გა-
მოცნობა და მოთხრა უბუცესმა ასწავლა. იგი მიდიოდა:
თვალეზი ბუნდოვან სივრცესთვის მიეპყრო, სკდილობდა რა-
მე გაეჩნია სიბნელეში. ზურგზე ცოტა რამ სანოვაგე წამოე-
კიდნა; ხელებში-კი მაგრად ჩაებლუჯა ქვის-ბოლოიანი მო-
ზრდილი დანა. ამას გარდა ტყავის ნაქერში, რომელიც ჰამ-
რობას უწევდა, რამდენიმე კაეის დანა ჰქონდა გამაგრებული.

როდესაც სრულიად დაბნელდა და დაღამდა, კრეკი ერთ
უშველებელ ნაძვის ძირში შეჩერდა. ღამის გასათევად ამო-
არჩია და ავარდა ზედ იმ სიპარდით, რომლის წყალობით
პატარაობიდანვე „ბუდეების დამშლელი“-ს სახელი დაერქვა.
კრეკი დაჯდა ერთ მაღალ ტოტზე, იეახშმა, შემდეგ ერთი
ამოიოხრა და მოაგონდა ოყო, რომელიც ახლა აღბად დე-

ოგი მიდიოდა ჩაფიქრებული;
თვალები ბუნდოვან სივრცის-
თვის მიეპყრო; სკდილობდა
რამე გაერჩია სიბნელეში.



...
...
...



დასთანაა ჩახუტებული მღვიმეში. ბოლოს ამ ფიქრებში დაკარგულ თულ კრეკს დაეძინა.

ცოტა ხანს არ ეძინა; ბავშვმა უფერად იგრძნო, თითქოს მის სახესა და ხელებზე რაღაც თბილი და წებოიანი თასმა სრიალებს; ეს თასმა ისეთივე თბილი იყო, როგორც ცხოველის ახლად გადამძვრალი ტყავი.

შეეხო თუ არა თასმა, კრეკი შეხტა. მაგრამ ამ უჩინარ საგნის სითბომ ცოტა არ იყოს დაამშვიდა:

ჯერ იფიქრა, რომ ეს გველია; მაგრამ მალე მიხვდა, რომ ეს რაღაც უჩინარი სხეული ქვემძრომს არ ეკუთვნის.

მაინც მისი გული არ დაშვიდდა. ყოველ შემთხვევაში შეიარაღდა ყველაზე მაგარ და მკრელ კაფის ნატებით და ყოჩაღად უცდიდა, როდის შეეხებოდა კიდევ ეს უცნაური საგანი.

სანამ კრეკი იჯდა და უცდიდა, ხე, რომელზედაც იგი იჯდა, უცბად შეინძრა ძირიდან წვერამდის, თითქოს ძლიერმა ქარმა შეარყიაო.

მაგრამ ქარი არ ქროდა.

მაშინ კრეკს საშინელი აზრი მოუვიდა: რა უნდა ექნა, ხის ქვეშ თუ ახლა უზარმაზარი დათვი დგას და ზედ ამოსვლას სცდილობს, — იმისთანა დათვი, როგორიც „მკვდარ ფიქვის“ მინდორზე ვნახე, ვირთაგვების შემოსევის დროს?

ღრიალი არ ისმის, თუმცა ხე ისევ ინძრევა; მშვირი დათვი-კი, როდესაც დავლის სუნს ჰგრძნობს, ყოველთვის ღრიალებს!.

ასეთ ფიქრებში იყო ბავშვი, როდესაც იგრძნო, რომ მის ტანზე რბენა დაიწყეს და ათასობით აირივნენ რაღაცა მწერები, რომელთაც იგი დაბლა ჰყრიდა და სკყლეტდა; რადგანაც მთელ ტანზე მწარედ ჰკბენდნენ. უსუნა თავის ხელს და სუნზე იცნო, რომ კიანქველებთან ჰქონდა საქმე.

მაგრამ კიანქველები ხომ ღამე არ მოგზაურობენ? მაშ

რა მოულოდნელმა შიშმა აიძულა გამოქცეულიყვენ ბუნებრივი ახალი ბინის საძებნელად. იქნება აღიდებულ მდინარეს მორიდეს თავი?

ასე ეკითხვებოდა კრეკი თავის თავს, ხოლო ამ კითხვებზე პასუხს ვერ პოულობდა.

ხე კი სულ ინძრეოდა.

უცბად თბილ და წებოიანი თასმა ბავშვს ყელზე შემოეხვია; მაგრამ ეს თასმა არ უჭერდა.

კრეკი შიშისა და ზიზღისაგან შეხტა, მაგრამ ამავე დროს სტაცა ხელი ამ შესაზარ თასმას, რომელიც ამაოდ ცდილობდა იმის ხელიდან გამოსხლტომას. შემდეგ კრეკმა დაუწყო ცემა და გლეჯა ქვის დანით და ბოლოს შუაზე გადასჭრა ეს საშინელი თასმა.

ამავე დროს მიწაზე რალაც შიშვე სხეულმა ზღლიართანი მოიღო.

მორჩა თუ არა კრეკი ამ გმირობას, შორს გასტყორცნა სველი ნაწყვეტი; რომელიც ხელში შერჩა და ისევ უსუნა თავის ხელს: თბილი სისხლის სუნი სდიოდა.

როცა ეს გულადი ბიჭი, მღელვარე და აღშფოთებული, ფიქრობდა იმაზე, თუ რა უნდა ყოფილიყო ეს ცოცხალი თასმა, ხის ძირიდან ბნელში გაისმა რალაცა დაბალი, შესაბრალისი ყვირილი.

ეს ყვირილი კიდევ დიდხანს ისმოდა: მერე თან-და-თან შესუსტდა. გათენებისას სრულიადაც მისწყდა.

კრეკმა თუმცა იცოდა, რომ განთავისუფლდა ამ იღუმალ, რბილ და წებოიან არსების შეხებებისაგან, მაგრამ შინც დილამდის თვალი ვერ მოხუჭა.

გათენებას შიშით მოელოდა.

აი, ირიტრაცა კიდევ.

მერე რა დაინახა კრეკმა, როდესაც ზემოდან ხის გარშემო თვალი მოავლო?



ხელით სულ ინძრეოდა, უც-
ბად თბილი და წებოიანი თა-
სმა ბავშვს ყელზე შემოეხვია;
მავრამ ეს თასა არ უტერდა.



დაინახა მიწაზე გაშლართული, არაჩვეულებრივი, რაღაც უცნაური სანახავი, უზარ-მაზარი ცხოველი.

იგი მკვდარს ჰგავდა და სისხლის გუბებში იწვა: ვალეზულ პირში გაშავებული ენა უჩანდა.

ეს უშველებელი, კრეკისთვის უცნობი, ცხოველი, რომელზედაც უზუცესსაც-კი არა უამბნია-რა, — იყო, ჩემო ძვირფასო ეორე, უშველებელი ხელიკი, ერთი იმ საშინელ წინაპართაგანი, კრეკის დროშიაც-კი იშვიათი, რომლის წარმომადგენლებს ჩვენ „უკბილო ცხოველების ჯგუფს“ უწოდებთ. ამ ოჯახის უკანასკნელ წარმომადგენელთ ჩვენ დროში ეძახიან „ჯავშნოსანთ“, რადგანაც ტანი ჯავშნით აქვთ შემოსილი, როგორც ყველა კიბოს მავგართ—გრძელ-დინ-გიან კიანჭველა-ქამიებს, რომელნიც კიანჭველით საზრდო-ობენ და „ზარმაცებს.“ ეს უკანასკნელი სახელი მათ ეწოდებათ საოცარი ნელი მოძრაობის გამო.

ეს ცხოველები ყველანი უწყინარნი არიან, მიუხედავად მათი საოცარი გრძელი ბრტყალებისა და საზარელი შესახედაობისა; ისინი უმთავრესად მწერებით იკვებებიან; ამ მწერებს დიდ მანძილზე იჭერენ საოცარი გრძელი ენის საშუალებით. ენაზე ასეთ ცხოველებს წებოიანი ნივთიერება აქვთ გადაკრული.

ეს უწყინარი საშინელება, რომელიც კრეკმა მოჰკლა იმით, რომ ენა შუაზე გადაუჭრა, სიგრძით ოც ვუტამდე იქნებოდა.

ზურგზე და თავზე ამ ცხოველს შავ სქელ ბეწვში ჩაღავებული ჰქონდა სქელი და ბრტყელ-ბრტყელი ქერტილი, ისე დაწყობილი, როგორც სახლის სახურავზე კრამიტს აწყობენ; ესენი შეადგენდნენ მავარ და მოქნილ ჯავშანს, ერთად-ერთ-მოსაგერებელ იარაღს, როდესაც ეს ცხოველი გორგალასავით დაეხვევოდა ხოლმე, მოიმკვდარუნებდა თავს და სცილობდა დაეფარა თავი მკრელ-კბილებიან ნადირებისაგან. ამ ცხოველს-კი კბილები სრულიად არ ჰქონდა.



მაგრამ ეს კრეკმა არ იცოდა; ხიდან ჩამოვიდა დააღწევეს
ვებით დაუწყოთ ვალიერება უშველებელ, გაშეშებული მძოვრს,
თუმცა ამ აღფრევაში მონადირეს სიამაყეც გამოსქვივოდა.

ხუმრობა ხომ არ იყო: პატარა კრეკმა დაამარცხა მტე-
რი, მასზე ხუთჯერ დიდი! და განა ეს გასაკვირველი არ არის?

კრეკმა არ იცოდა, რასაკვირველია, რომ უძველეს დრო-
ის ხელიც იმ საშინელ ღაქეს ფიქრადაც არ მოსვლია მი-
სი დაღრჩობა: მხოლოდ ერთ იმიტომ ღოკავდა, რომ სცდი-
ლობდა დაეჭირა ხის ტოტებზე მცოცავი ქიანქველები; ამისა-
თვის იყო, რომ ებლაუქებოდა და ანძრევდა ხეს.—ეს რომ
კრეკს სცოდნოდა, ვიმეორებ, ექვი არ არის, ასე არ იამაყე-
ბდა თავის გამარჯვებით.

მაგრამ კრეკი ამას ვერ მიხვდებოდა და ნება ჰქონდა
თავის გაბედულობით და სიყოჩაღით ეამაყნა.

ხელში რომ აიღო ნადირის ვეებერთელა ბრკყალები,
კრეკს სრულიად დაავიწყდა ტყეში სიფრთხილის უპირველესი
წესი—სიჩუმის დაცვის საჭიროება, და სიხარულით იწყო ყვი-
რილი.

შორიდან სამმა ხმამ უპასუხა.

გაკვირვებულმა კრეკმა იგრძნო, რომ უცხად გულმა სა-
შინლად დაუწყო ძგერა, მაგრამ აქვე მოაგონდა, რომ ტყეში
ხშირია გამოძახილი; მალე ისევ გული მოიბრუნა და გაიკინა.

მაინც გადასწყვიტა ფრთხილად ყოფილიყო, როგორც
შეეფერებოდა ნამდვილ მონადირეს. წამოავლო შუბს ხელი,
მივიდა ხესთან, რომელზედაც ღამე გაატარა, მიეყუდა და
სმენად გადიქცა; სწრაფად მიათვალეერ-მოათვალეერა ატე-
ხილი ტყე, თან სცდილობდა მასი იღუმალი სივრცე განე-
ქვრიტა. აი, ახლაც, თუმცა პირიც არ გაუღია, კიდევ მოეს-
მა საში ხმა; როგორც სჩანდა—ეს ხმები ახლოდან მოისმოდა.

ეს ხმა ახლა ტყის გამოძახილად აღარ ჩაითვლებოდა; ეს
ყვირილი, ცხადია, ადამიანების ხმა იყო.

მართლაც, მანამ კრეკი მოიფიქრებდა, რაში იყო ატეხილ ტყეში გაისმა აჩქარებული ფეხის ხმა, ხმელ ფოთლების ტკაცავ-ტკაცუი მძიმე ფეხის ქვეშ, ტოტების შრიალი და უცბად მის წინ ორი შეიარაღებული ახალგაზდა გაჩნდა.

— კრეკ!— წამოიძახეს მოსულებმა, — აი ჩვენც აქა ვართ! თავზარ-დაცემულმა კრეკმა შუბი ხელიდან გაუშვა და გაიცინა; გაკვირვებისა და სიხარულისაგან თითქმის წაიჩურჩულა:

— ჰე, რიუგ!

— ჰო, ძმაო, ახლა მარტო აღარ დაგადებთ. უზუცესმა ნება მოგვცა გამოგყოლოდით შენ საძებნელად.

— უზუცესი!.. — დაბნეულად წაიჩურჩულა ბავშვმა.

— დიად, მართალია, — უცბად წარმოსთქვა ნაცნობმა ხმამ.

კრეკი მობრუნდა გაკვირვებული და ორ ნაბიჯის სიახლოვეზე დაინახა უზუცესი, უშველებელ მგლის ტყავ-წამოსხმული, რომელსაც ატარებდა, როდესაც შორს გაემგზავრებოდა ხოლმე; იგი შეიარაღებული იყო ნადირობისა ან ომისათვის, სახე-კი შემკული ჰქონდა თეთრისა და წითელი ცა-ცით დახატულ ზოლებით, როგორც ტომის მეთაურს ეკუთვნის.

უზუცესს ხელში ჩრდილოეთის ირმის რქისაგან გაკეთებული ჩუქურთმიანი კვერთხი ეჭირა.

კრეკმა მუხლი მოიდრიკა.

— ოჰ, მამავ, — სთქვა კრეკმა, — შენ არ დასტოვე შენი ვანდევნილი შვილი; გმადლობ!

გახსოვს, შვილო, შენ რომ არ დასტოვე მარტო შენი უფროსი განსაცდელის დროს, მაშინ, მდინარის პირას, როდესაც ყოველი მხრიდან გარეული ნადირი შემოგვესია. მე ეს მომაგონდა. მღვიმე სამუდამოდ მივატოვე. ხედავ— აქა ვარ; მხოლოდ სიკვდილს შეუძლიან ჩვენი დაშორება, და აი

ამ ორი გმირისა—ჰელისა და რიუგისა, რომელთაც მთხოვეს თან წამოყვანა.

ეს სთქვა უბუცესმა და სთხოვა კრეკს ეამბნა მისი თავგადასავალი.

უბუცესი, ჰელი და რიუგი, ერთად მიუახლოვდნენ მიწაზე გაშლართულ საზარელ ხელის.

აქ კრეკმა მოკრძალებით უამბო, რაც ჩვენ უკვე ვიცით. დიდყურა რიუგი განცვიფრებით პირდაღებული ყურს უგდებდა; ჰელი კიდევ, რომელიც რიუგზე ნაკლებ არ უგდებდა ყურს, ხის ქერქისაგან დაწულ კალათიდან სანოვავეს ალაგებდა დილის საუზმისათვის.

კრეკმა სწრაფად გაათავა თავისი ამბავი და შეუდგნენ კამას.

— ამაღამ, — უთხრა უბუცესმა კრეკს, — ფრინველსავით ხეზე აღარ მოგიხდება შეჯდომა, გარეული ნადირების შიშით. შემწვარ ხორცსაცა ვკამთ, რადგანაც მე „შავი ქვა“ წამოვიღე თან. ჩვენებს-კი „ცეცხლის მფრტვევი ჩხირები“ დაუტოვე მღვიმეში; კერა კიდევ დიდხანს არ გაუქრებათ. ცეცხლი, რომელსაც ვაბშმისთვის ავანთებთ, მთელი ღამე უნდა გვენთოს და ყოველ საღამოს ჩვენ მფარველად იქნება, მანამ რიგ-რიგად ვიძინებთ მიწაზე.

საუზმის შემდეგ ყველანი გზას გაუდგნენ შორეულ უცნობ ქვეყნისკენ; მოხუცი მტკიცე ნაბიჯით, ბავშვები-კი — მსუბუქად და მხიარულად.

ოთხ მეგობრის ბედნიერ შეერთების პირველმა დღემ უხიფათოდ ჩაიარა, თუ არ ჩავთვლით ნადირობას და პატარა შელიის დაჭერას, რომლის ხორცი დასვენების დროს იგემეს.

მეორე დღე ისეთივე მშვიდობიანი იყო; მხოლოდ ერთი შემთხვევა მოხდა, რომლის გმირი თავისდა უნებურად ჰელი მეთევზე გახდა. ჰელის თავის თავი დიდ რამედ მიაჩნდა, როდესაც ლერწმითა და სხვა წყლის მცენარეებით გარშემორტყმულ ტბის პირად მიდიოდნენ, ჰელიმ შენიშნა უშველე-

ბელი ფრინველი იმ ჯიშისა, რომელსაც ახლა ჩვენ „ველიკანებს“ ვეძახით; ტანით ეს ფრინველი სირაქლეშას წააგავდა. ფრინველს ნაპირზე ეძინა.

„რა მშვენიერი დავლა იქნება ეს თებობის პელიკანი!“ — ფიქრობდა პელი და თან შურის თვალით უყურებდა.

— ფრ-ზილად იყავი, — უთხრა უხუცესმა.

— რა სამაგალითო ვახშამია, — იმეორებდა პელი თავის-თვის; თითქოს ამ ფრინველის სანახაობით მოჯადოებული მოხუცს ყურს არ უგდებდა.

— ეს ხომ ადვილი დასაკერია: სძნავს. ახლავ ვისკუპებ, ფეხებში ვსტაცებ ხელს, და გათავდა საქმე!

პელიმ, რაც გაიფიქრა — დასრულა: ჩუმად ჩასრიალდა ლერწმებში, ისკუპა და სტაცა ხელი მძინარე ფრინველს.

უხუცესმა, რიუგმა და კრეკმა მალე შენიშნეს, რომ პელი სადღაც წასულა და შეუღდგენ მის ძებნას და ძახილს; უცბად მოესმათ ზევიდან მისი საბრალო ხმა. მიიხედეს და დაინახეს გულადი ბავშვი, ტბის ზემოდ ჰაერში; იგი მიჰქონდა უზარ-მაზარ ფრინველს. რომელსაც გაეღვიძა და აფრენილიყო,

პელი მაგრა ჩაბღუპებოდა ფრინველს ფეხებში და როგორც შეეძლო ილანძღებოდა გაჯავრებული და შეშინებული, თან არც მისი ხელიდან გაშვება უნდოდა.

უზარმაზარი ფრინველი „პელიკანი“ გამძვინვარებული ხან აქეთ ეცემოდა, ხან იქით, რომ როგორმე მოეშორებინა გაათრებული მონადირე.

საწყალობა პელიმ გადასწყვიტა დამარცხებულად ჩათვალა თავისი თავი, გაუშვა ხელი ფრინველს სწორედ მაშინ, როდესაც აღბად „პელიკანმა“ გადასწყვიტა მის ფეხებზე დაკიდებული პელი მოეშორებინა და ხეზე შემოწყვეტით მისთვის თავი გაეხეთხა.

პელი შიგ შუა ტბაში ჩავარდა; ისეთი ხმაურობით ჩამოვარდა და ისე ააშხაპუნა წყალი, რომ ათასი ფრინველი და-



შელი მაგრა ჩაბლაუკებოდა
ფრინველს ფეხებში, ილან-
პლებოდა გაჯავრებული და
შეშინებული, თან არც მი-
სა ხელიდან გაშვება უნდოდა.

✶

აფრთხო და ააფრინა. შეშინებულმა ბაყაყებმა საზარელს ვინაყინი ასტეხეს.

როდესაც ამ მარცხით შერცხვენილი მთლად ტალახში და წყლის მცენარეებში ამოსვრილი ჰელრ ამხანაგებთან გაჩნდა, მოხუცმა მკაცრი საყვედურით მიმართა, ხოლო კრეკმა და რიუგმა სიცილი შორთეს.

— აი ახლა შენ ღრუბლებიდან წყალში ჩამოვარდი, — უთხრა რიუგმა.

— ჰო, — მიუგო ჰელიმ, რომელიც ძალიან ცუდ გუნებაზე იყო, — მაგრამ თუ სასაცილოდ ამიგდებ, ვეცდები შენ თვითონ მიწაში ჩაგაძვრიხო.


მაგრამ აქ კრეკი ჩაერია ლაპარაკში და შშვიდობიანობა ჩამოაგდო.

ჰელიმ-კი პირობა მისცა თავის თავის დღეში აღარ ინადიროს თეთრ დიდ „პელიკანზე“, სანამ შემწვარს. არ ნახავს.

მარიამ იაშვილი.

(შემდეგი იქნება).





ზიპია კორნილის საიღუმლო.

(ფრანგულით)



რანსუა მამაი, მოხუცი მესალამურე, სალამოობით, როდესაც-კი მოიცილიდა, მოვიდოდა ჩემთან, წისქვილში, დროს გასატარებლად წარსულის მოგონებით და მე და ის ხელადით ღვინოს შევექცეოდით. ერთ ამისთანა სალამოს ფრანსუამ მიაშპო სოფლის პატარა დრამა, რომლის მოწმედაც ამ ოცი წლის წინად თურმე ჩემი

წისქვილი ყოფილა.

აი რა მიაშპო მოხუცმა:

— წინად, ჩემო კარგო, ჩვენი სოფელი მიყრუებული და უსახელო კი არ იყო, როგორც ახლა არის. ჩემ ახალგაზდობაში აქ ზორბალი ისე ხშირად და იმდენი იფქვებოდა, რომ საფქვავეი ათი ვერსის მანძილიდან სულ ჩვენ სოფელში მოჰქონდათ. სოფლის გარშემო მთები რომ გენახათ, სულ დაფარული იყო კაპწია ქარის წისქვილებით. საითაც უნდა მი-

გებედნათ, მარჯენივ თუ მარცხნივ, ყოველთვის დაინახავდით წისქვილის ფრთებს, რომელსაც ატრიალებდა ჩრდილო-დასავლეთის ქარი და ტომრებით დატვირთულს ჯორებს, რომელნიც შარაზე მიდიოდნენ.

კვირიდან კვირამდე აქ ერთი აურ-ზაური, შოლტის ტყლაშა-ტყლუში და ღრიანცელი იდგა. კვირა დღეობით-კი მთელი სოფელი დავიხვეჭებოდი და ვეწვეოდი სტუმრად მეწისქვილეებს, რომელნიც შეგვთავაზებდნენ ხოლმე მშვენიერ ღვინოს. მეწისქვილეების მეუღლენი, რომელთაც თავს უმშვენებდა ნაქარგი ჩითმერდინი და ბროლივით თეთრ ყელს—ოქროს ჯვარი, დედოფლებს ჰგავდნენ. მე წავიღებდი ხოლმე ჩემ სალამურს და თითქმის შუა ღამემდის განუწყვეტელი ფერხული გვქონდა გაბმული. ასეთი ბედნიერი იყო ჩვენი სოფელი ამ წისქვილების წყალობით.

საუბედუროდ, პარიზიდან მოსულმა ფრანგებმა ტარასკონის გზაზე ორთქლის წისქვილის აშენება განიზრახეს. ტყუილად-კი არ არის ნათქვამი - ახალი ცოცხი კარგად ჰგვისო. როგორც-კი ორთქლის წისქვილი ააშენეს, საფუძველი ყველამ იქ მიიტანა. დაივიწყეს ქარის წისქვილები, რომლის დაფუძვლილი პურითაც თავიანთ გაჩენიდან იკვებებოდნენ. ძველი მეწისქვილეები დარჩნენ უსაფუძვლოდ; მართალია, შეეცადნენ უკანვე დაებრუნებინათ თავიანთი მუშტარი, მაგრამ ამაოდ:—ორთქლმა ქარს აჯობა,—ქარის წისქვილები ერთი მეორეზე იკეტებოდა. სოფელში სიჩუმე ჩამოვარდა. არ ისმოდა წისქვილის ფრთებზე არც ტილოს ფრიალი არც შოლტის ტყლაშა-ტყლუში. შარაზე აღარ ჩანდნენ დატვირთული ჯორები. მეწისქვილეების ქალებმა ვაჰყიდეს ოქროს ჯვრები. კვირა დღეობით აღარ ისმოდა მზიარული სიმღერა და სალამურის ხმა. ჩრდილო-დასავლეთის ქარი უბერავდა ძველებურად, მაგრამ წისქვილის ფრთები უძრავად იდგა.

გავიდა ცოტაოდენი დრო. ერთ მშვენიერ დღეს ყველა



მეწისქვილემ თითქო საერთო შეთანხმებით მოშალა წისქვილი. სოფლის გარშემო მთები მოტიტვლდა; ვადარჩა მხოლოდ ერთი წისქვილი, რომელიც ბუმბერაზივით იღგა ორთქლის წისქვილის პირდაპირ და თითქო საბრძოლველად იწვევდა. ეს იყო წისქვილი ბატონ კორნილისა. ეს წისქვილი, სადაც ახლა მე და შენ ვზივართ და ვბაასობთ, მაშინ ბატონ კორნილს ეკუთვნოდა.

ბატონი კორნილი მოხუცი მეწისქვილე იყო. სამოცი წელიწადი ცხოვრობდა მეწისქვილეობით და თავდავიწყებამდის იყო ვართული ამ საქმეში. ახალი ორთქლის წისქვილი ჰკუთხა უფანტავდა ბატონ კორნილს. რვა დღის განმავლობაში გიყვივით დარბოდა სოფელში, თავს უყრიდა სოფლელებს და ხზახმა-მალდა, რომ ყველას გაეგონა, იძახდა, პარიზელებს უნდათ ხალხი მოწამლონ იმ ფქვილით, რომელიც იქ იფქვებაო.

— ნუ წახვალთ იქაო, — ამბობდა იგი: — ეს შეჩვენებულები პურის საფქვავად იშველიებენ ეშმაკის მოგონილ ორთქლს, ჩვენ წისქვილებს-კი ატრიალებს ჩრდილო-დასავლეთის ქარი, რომელიც ღვთის ნასუნთქია.

ბატონი კორნილი ამბობდა კიდევ სხვა ათასნაირ მშვენიერ სიტყვებს ქარის წისქვილის საქებრად, მაგრამ ყურს არავინ უგდებდა. მაშინ ყელში ბოღმა მოწოლილმა და სიბრაზით თვალ-აკრემლებულმა მოხუცმა ჩაიკეტა წისქვილის კარი და ამის შემდეგ დაიწყო ნადირივით მართო ცხოვრება. ყურადღებას არ აქცევდა თავის შვილი-შვილსაც-კი, ვივეტტას, თხუთმეტი წლის ქალს, რომელსაც დედ-მამის სიკვდილის შემდეგ, დარჩა მხოლოდ პაპა, ბატონი კორნილი. საწყალ ბავშვს თავის გამოსაკვებად უნდა ეშოვნა საქმე, ხან სად და ხან სად: ხან სამკალში და ხან აბრეშუმის ქიის მოსავლელოდ და სხვაგან. მართალია, ცუდად ექცეოდა მოხუცი ვივეტტას, მაგრამ ისე აჩვენებდა თავს, თითქო ძალიან უყვარდა. მოხუცს ხშირად უხდებოდა ოთხი ვერსის ფეხით გავლა სიციხე-პაპანაქებაში, რომ დაენახა ის ადგილი, სადაც ბავშვი



მუშაობდა და როდესაც ესენი შეიყრებოდნენ, მოხუცი ბიძის საათობით უყურებდა ვივეტას და თან სტიროდა.

ჩვენ სოფელში ჰფიჭობდნენ, ბატონი კორნილი სიბუნწის გამო ჰგზავნის ვივეტას აქეთ-იქით სამუშაოდაო, ერთ ფერმიდან მეორეში, სადაც მას მოელოდა ყოველი უბედურება, რომელიც თან დასდევს ახალგაზრდა მოსამსახურე ქალს. ამისთანავე არ მოსწონდათ ისიც, რომ ასეთი სახელ-განთქმული და თავმოყვარე კაცი, როგორც ბატონი კორნილია, დადიოდა ქუჩებში მაწინწალასავით, ფეხშიშველა, ქუდ-გახვრეტილი, დაძონძილ ტანსაცმელით. საქმე ის არის, როდესაც ვხედავდით იმას წირვაზე ეკლესიაში, ჩვენ, მოხუცებულებს, გვრცხვენოდა და ვწითლდებოდით, და ამას ბატონი კორნილი ისე კარგად გრძნობდა, რომ პატივცემულთა შორის დაჯდომას ვერ ჰხედავდა. ყოველთვის ყველაზე უკან -- მითხოვრებთან იდგა.


ბატონ კორნილის ცხოვრებაში რაღაც განოურკვეველი საიდუმლო იყო. უკვე დიდი ხანია, რაც სოფელში აღარავის მიუტანია საფქვავე, მაგრამ იმისი წისქვილის ფრთები მაინც ტრიალებდა ძველებურად. საღამოობით სოფელელები ჰხედავდნენ გზაზე მოხუც მეწისქვილეს, რომელსაც წინ მიუძღოდა დიდი ფქვილის ტომრებით დატვირთული ჯორი.

— საღამო მშვიდობისათ, ბატონო კორნილ! — უყვიროდნენ სოფელელები: — როგორც გეტყობათ, საფქვავე ბლომად გქონიათ.

— ყოველთვის ასეა, — ყოჩაღად უპასუხებდა მოხუცი: — ღვთის მადლით სამუშაო საკმარისია.

ალ. გველეხიანი.

(დასასრული იქნება).





ველურთა კეთილი თვისებანი.



დიდად საყურადღებო წიგნი დასწერა რუსეთის სახელ-განთქმულმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ პეტრე კროპოტკინმა: „საურთიერთო დახმარება ცხოველებსა და ადამიანებს შორის.“

ამ წიგნის დამწერი დიდად ნასწავლი, ბევრგან ნამგზავრი, მოწინავე ხალხთა ენების მკოდნე და სახელოვანი მოღვაწე ადამიანია. იგი ამტკიცებს, რომ ადამიანი, საზოგადოდ, და თვით ველური ადამიანიც, კერძოდ. მხეცი არ არის, არამედ საზოგადოებრივი, უმთავრესად ჯგუფად და საურთიერთო დახმარებით მცხოვრები სულდგმულია.

ბრძოლა, განუწყვეტელი ომი არ ყოფილა არც ძველსა და არც ახალ დროში, როგორც ველურ, აგრედვე განათლებულ ხალხთა საყვარელი საგანო, — გვეუბნება ჩვენი მწერალი. პირიქით — ადამიანს, ველურია იგი თუ განათლებული, — ყოველთვის მყუდრო ცხოვრება და მუშაობა სწყურია.

ბრძოლა და სისხლის ღვრა-კი ადამიანის ბუნებრივი მხედველობის ხასიათით-კი არა, არამედ იმისი უკოდინარობით, უეცრობით, ქვეყნის მბრძანებელთა ბრმა მორჩილებით აიხსნებაო.

ძველ დროში ვგრედ-წოდებული მემატიაენნი სწერდნენ რტარტებზე, ტყავზე და ძველ სქელ ქალღღზე მათ დროს მომხდარ ამბებს,—სწერდნენ ისე, როგორც დღეს ვაზეთები იწერება: იწერებოდა უმთავრესად ყოველწიერი უბედური შემთხვევა, მტრის შემოსევა, ლაშქრობა, მძინვარე სწულეობა, მიწის ძვრა, გადიდებულ წყლებისაგან ქვეყნის წალეკა და სხვა ამგვარი უბედურება.

ადამიანი საზოგადოდ უფრო მეტი ყურადღებით ეკიდება იმას, რაც არაჩვეულებრივია, საგანგებო ამბებს აღნიშნავს ხოლმე თავის ნაწერებში, ძველ და ახალ მატიაენებში. ახალი მატიაენები, ვგრედ-წოდებული ვაზეთებიც ამიტომ ყოველწიერი სამწუხარო ამბების შემკრები არიან; ხოლო დიდად შესცდება ის, ვინც, ვაზეთების კითხვით გატაცებული, იფიქრებს, რომ ცხოვრება მარტო მწუხარებითა და გლოვა-ვაღალითაა აღსავსე. ადამიანს დიდხანს ახსოვს თავისი ავადმყოფობა და ძალიან ადრე ივიწყებს თავის კარგამყოფობას, ჯანმრთელობას, არ აგონდება ის დრო, როცა იგი სულითა და ჯანით კარგად იყო.

ველურთა ცხოვრების აწერასაც ეს ცალმხრივობა დაეტყუა: აწერილია ამ ცხოვრების ბნელი მხარე და უყურადღებოდ დატოვებულია ველურთა კეთილი თვისებანი.

ახალი დროის მეცნიერებმა—ტეილორმა, მორგანმა, მენმა და სხვებმა გამოიკვლიეს, რომ პირველ-ყოფილი ადამიანი, დღევანდელ ველურ ხალხთა მზგავსად, არა განმარტოებით, მარტო თავისი ოჯახით, არამედ ჯგუფად ცხოვრობდა. ამის ნიშნები ცხადია ევროპაში და სხვა ქვეყნებში. იმ დროს ადამიანი ქვის იარაღს ხმარობდა და ეს იარაღი დღეს უმრავლეს შემთხვევაში ერთ ადგილას, მცირე მანძილზე თავმოყრი-

ლი იპოვება ხოლმე. აღმოაჩინეს ამ ქვის იარაღის დროს მას შემდეგ, როდესაც ლოსნოვებიც, ცხადია რომ იმ დროს ადამიანები იქ ერთად თავმოყრილნი მუშაობდნენ. პირველ-ყოფილ ადამიანთა ბინები—კლდეში გაკეთებული გამოქვაბულნი—ცალ-ცალკე ძვირად იპოვება. არა განმარტოებით, არამედ მრავლად, ერთად თავმოყრილია, უფრო შერცხლების ბუდეებსა და არა მხეცების განცალკევებულ ბუნაგებს ჰგავს.

ახალი მეცნიერება ამტკიცებს, რომ პირველ-ყოფილმა ადამიანებმა არ იცოდნენ, რა არის ოჯახი—ისე ცხოვრობდნენ ერთერთ შორის, როგორც დღეს საქონლის ჯოგი ცხოვრობსო. მაგრამ ის განსხვავებაა ადამიანსა და პირუტყვებს შუა, რომ პირუტყვი დღესაც პირუტყვია, ადამიანს-კი უძველეს დროშიაც თან-და-თან წარმატება დაეტყო. თან-და-თან აკრძალული იყო პირველ-ყოფილ ადამიანთა შორის ცოლქმრული დამოკიდებულობა ერთი დედის ვაჟებსა, მის დებსა და შვილის-შვილებს შორის. შემდეგ აიკრძალა ცოლქმრობა ერთი დედის შვილთა შორის, ბოლოს და ბოლოს გაჩნდა ოჯახი, სადაც ვაჟს მარტო ერთ ქალთან უნდა ეცხოვრა.

ყველა ეს იმ დროს ეკუთვნის, როცა პირველ-ყოფილმა ადამიანმა არ იცოდა, რა არის სახელმწიფო, რა არის ამ სახელმწიფოს მიერ ძალდატანება. არ იყვნენ მაშინ სახელმწიფოს მოხელეები და პირველ-ყოფილ ადამიანთა ჯგუფურ ცხოვრების გამწესრიგებელი ამ ჯგუფის საზოგადო აზრი იყო: ესე იგი—რასაც იმ დროის ხალხი ფიქრობდა, კეთილად ან ბოროტად აღიარებდა, თავის მოქმედებსა და მეზობლებს დაუწერელ კანონად უდებდა.

ყველა ეს მოწმობს, რომ ზნეობრივი განვითარების, კეთილი წინსვლის უნარი ადამიანს ბუნებით მოსდგამს, ესე იგი—ისეა შექმნილი ადამიანი, რომ იმისი თან-და-თან გაკეთილდება შესაბამელიცა და კაცობრიობის ისტორიით უკვე და-



მტკიცებული, ცხადი საქმეა. ეს გაკეთილება, ზნეობრივ გზა-ფაქიზება იყო შედეგი ჯგუფური ცხოვრებისა. სადაც ადამიანი ადამიანზე მოქმედებდა, სადაც გაჩნდა საურთიერთო დახმარება და საერთო ძალღონით ერთურობის ნაკლის გასწორება, ცოდვების აღმოფხვრა.

რასაც პირველ-ყოფილ ადამიანთა შორის ვხედავთ, იგივე სურათი დღეს ჩვენ თვალ-წინ ველურთა ცხოვრებაშიაც იშლება.

კროპოტკინი აგვიწერს აფრიკის ველურ ხალხის—ბუშმენების ცხოვრებას და ამ ცხოვრებიდან საყურადღებო მაგალითები მოჰყავს.

როცა ამ ხალხში ევროპელები გაჩნდნენ, ბუშმენები ჯგუფებად, ეგრედ-წოდებულ საგვარეულო ორგანიზაციით ცხოვრობდნენ. ისინი ერთად ნადირობდნენ და იმის გინურ-ჩველად, თუ ვინ რამდენი მოჰკლა, ნანადირევს თანასწორად ერთ-ერთ შორის იყოფდნენ.

მოგზაური ლიხტენშტეინი მოგვითხრობს საგულისხმო ამბავს იმის შესახებ, თუ როგორ გადაარჩინეს ბუშმენებმა ერთი თავისი ამხანაგი, რომელიც მდინარეში იბრჩობოდა, როგორ გადააფარეს თავისი ტანისამოსი—ტყავები, თვითონ-კი შიშვლები დარჩნენ და სიცივისაგან კანკალებდნენ. გადაარჩენილი შემდეგ ცეცხლთან მიიტანეს, გაუმშრალეს ტანი დაუწყეს თბილი ზეთით ზელა და მალე მოასულიერეს.

მოგზაურები ვან-დერ-ვალტი, ბერგელი და მოვა, რომელნიც არა სამტროდ, არამედ მეგობრულად განწყობილნი ეწვივნენ ბუშმენებს, ამტკიცებენ, რომ ეს ხალხი გულ-კეთილი, უნაგარო, პატიოსანი და მეგობრობაში ერთგული, გამგონი ხალხია. შემდეგი მაგალითი ნათლად მოწმობს, თუ რამდენად უყვართ იმათ თავისი ბავშვები. ერთმა ბოროტმა ევროპეელმა ვაჟარმა ბუშმენი ქალის ხელში ჩაგდება, დატყვევება მოიწადინა და ამისათვის შემდეგი ხერხი მოიგონა: ამ ქალს ძუძუს

ბავშვი მოჰპარა. მაშინ დედა თავის ნებით მივიღებ და ვეწმის
 ევროპიელს, რადგან უბავშვოდ გაძლება არ შეეძლო.

ლებბოკი აგვიწერს მეორე ველურ ხალხს, აფრიკელ გო-
 ტენტოტებს ჭ გოცეხულია იმ საურთიერთო დახმარებით, რო-
 მელიც მათ შორის აღმოაჩინა. მიეცით რამე გოტენტოტს, —
 ამბობს ლებბოკი, — და იგი იმ წამსვე გაუნაწილებს დამსწრეთ
 თქვენ საჩუქარს. რაც უნდა მშვიერი იყოს გოტენტოტი, იმას
 არ შეუძლია მარტო ისადილოს, ქუჩაში გამვლელს უძახის
 და თავის საქმელს უზიარებსო.

მათი სიტყვა — კანონია, — ამბობს მწერალი: — იმათ არ
 იციან რა არის ვერაგობა და ფლიდობა. გოტენტოტები
 მშვიდობიანად ცხოვრობენ და ძალიან იშვიათად ებრძვიან
 თავის მეზობლებს; პატიოსანი, სიმართლის მოყვარე და გულ-
 კეთილი ხალხი არიანო.

ამგვარადვე იხსენიებენ მიუდგომელი მოგზაურები სხვა
 ველურ ხალხებს — აზიელ ესკიმოსებს, სამოედებს, ოსტია-
 კებს, დაიაკებს, ალეუტებს და სხ.

კუნძულ ავსტრალიაზე ძველი დროიდან ველური ხალხ-
 ნი ცხოვრობენ, რომელთა შორის ზოგიერთებს კარებიც
 არა აქვთ. აედარში, როცა ცივი ქარი ჰქრის, დაწნულ ლო-
 ბეს შეათარებენ ხოლმე თავს. სქამენ თითქმის გახრწნილ
 ლეშს და ზოგჯერ ადამიანის ხორცს. იარალი ქვისა აქვთ.
 ზოგიერთმა ამ ხალხთა შორის არ იცოდა რა არის ვაქრობა,
 ან ერთმანეთში საქონლის გაცვლა-გამოცვლა. თუმც ზღვის
 პირად ცხოვრობდნენ, მაგრამ არ იცოდნენ ნავების კეთება.
 და აი ამ ველურებს, რომლებიც პირველ შეხედვით თითქო
 მხეცებისგან არ განირჩევიან, აქვთ კარგად შემუშავებული
 საგვარეულო წყობილება, საერთოა მათ შორის სანადირო
 და სათევზაო იარაღი, სადილს ყველანი ერთად თავ-მოყრილ-
 ნი სქამენ და სხ.

სახოვადოდ ავსტრალიელმა ველურებმა კარგად იციან,

თუ რა არის ამხანაგობა; დასუსტებულ ამხანაგებს საერთო ძალ-ღონით ეხმარებიან, სწეულებს კარგად უვლიან, არ სტოვებენ ხარტო და არ კლავენ. ზოგჯერ ბავშვებს კლავენ, მაგრამ ეს უვიცობის შედეგია—ერთგვარი ძველი წესია, რომელიც საერთო გადაწყვეტილებით შესრულდება ხოლმე. საზოგადოდ-კი ბავშვები ძალიან უყვართ.

ავსტრალიელმა ველურებმა არ იციან, რა არის ბატონ-ყმობა და მონობა.

ავსტრალიელ ველურთა მონათესავე ხალხში, პაპუასებში, ჩვეულებადია შემოღებული, რომ მეგობარი გაჭირვებულ მეგობრის ვალებს იხდის. ამ ხალხმა არ იცის რა არის მთავრობა, უმცროს-უფროსობა. მოსამართლეს საქმეს უზუსტესი კაცი ასრულებს მათ შორის. მიწა საერთოა, ყველას ეკუთვნის, პური-კი იმისია, ვისაც დაუთვსია. პაპუასები თიხის ქურჭელს აკეთებენ, იციან საქონლის გაცვლა-გამოცვლა, რასაც პატიოსნურად ასრულებენ. როცა ევროპიელი ვაჭრები მოდიან მათთან, იმდენად ენდობიან ამ ველურ ხალხს, რომ აძლევენ საჭირო საქონელს იმ პირობით, რომ პაპუასებმა სამაგიეროდ მათგან დამზადებული საქონელი მოუტანონ. პაპუასები თავის სოფელში ბრუნდებიან, და, თუ ვერ შეაგროვეს იმდენი საქონელი, რამდენიც ვაჭრებს დაჰპირდნენ, მათგან წაღებულ საქონელს უბრუნებენ.

ზოგჯერ პაპუასების სხვა-და-სხვა ტომთა შორის ბრძოლა და ომი ასტყდება ხოლმე. უმრავლეს შემთხვევაში, ამ ომის მიზეზს რომ დაუკვირდეთ, უპირატესობას ველურებს აკუთვნით იმ ევროპიელებთან შედარებით, რომლებიც მომზადებენ სხვა ქვეყნების, მიწა-წყლის და თავისი საქონლისათვის ახალი აზრების ხელში ჩასაგდებად.

აი ერთი მაგალითი იმისი, თუ რა მიზეზის გამო იმართება ომი ველურთა შორის, რომლებიც საზოგადოდ ერთნაირად ღარიბ-ღატაკნი არიან და სიმდიდრის შესაძენად არ ებრძვიან ერთმანეთს.



ესთქვად შიშველ ავად ვახდა ვინმე ველურების
 ში. ავადმყოფის ქირისუფლები და მეზობლები მის ლოგინთან
 თავს მოიყრიან ხოლმე და თათბირობენ, თუ ვინ უნდა იყოს
 ამ ავადმყოფობის მიზეზი. ბოლოს გადასწყვეტენ, რომ მე-
 ზობელ ველურთა სოფელში ეს და ეს ადამიანია ამ სნეუ-
 ლების გამწენი ჩვენ შორისაო. შემდეგ იარაღით ხელში ამ
 სოფელს თავს ესხმიან.

როცა ამგვარი მიზეზი არ აბრკოლებთ, ველურები ნამ-
 დვილ ბავშვებსავეთ თავს მოიყრიან მთელი სოფელი ერთად
 და მეზობელ სოფელს ეწვევიან ხოლმე. ისინი ც სიხარულით
 დაუბედებიან და ასტეხენ ერთ მზიარულ ალიაქოსს,—ცეკვა-
 თამაშსა და სხვა-და-სხვა შექცევას. ამას იმ სოფელში სჩადიან,
 რომელსაც შესაძლებელია ხვალ, როგორც ზემოდა ესთქვით,
 კრუ-მორწმუნეობის გამო თავს დაესხან.

რომ დაუკვირდეთ ჩრდილო ქვეყნების, თოვლიან-ყინუ-
 ლიან სამფლობელოს ველურ ხალხთ, იქაც საყურადღებო ამ-
 ბებს აღმოვაჩინებთ. მაგალითად აზიის ჩრდილოეთ ნაწილში
 ცხოვრობენ ველური ესკიმოშები, რომელთა შორის ბევრს
 პირველ-ყოფილი ადამიანის იარაღი აქვს. თუმც ოჯახებად
 ცხოვრობენ, მაგრამ არა-ხანგრძლივ:—ეს ოჯახები ერთმანეთს
 ცოლებსა და ქმრებს უცვლიან. არ იციან თევზაობა; დიდ თევ-
 ზებს შუბებით ჰკლავენ. მათი საერთო ბინა—გძელი სახლია,
 სადაც რამდენიმე ოჯახი ცხოვრობს, რომელთა შუა კედლების
 შიგნით დაგლეჯილი ტყავია ჩამოფარებული. ზოგჯერ ეს სა-
 ხლი ჯვარის მზგავსადაა აშენებული და ამ ჯვარის შუაგულს
 ყველა იქ მცხოვრებ ოჯახთა საერთო კერა ანთია. ერთხელ
 გერმანელმა მგზავრებმა მთელი ზამთარი გაატარეს ველურთა
 ამ საერო ბინის სიახლოვეს და ამტკიცებენ, ამ დროს განმავ-
 ლობაში ერთხელაც ჩხუბი არ მომხდარა ველურთა შორისო.

მთელი საუკუნოების განმავლობაში საერთო, ჯგუფურ-
 ამ ცხოვრებამ ასწავლა ველურებს თავის საკუთარ სარგებლო-

ბაზე უფრო საერთო კეთილდღეობის დიფასება და პატრიოტიზმი. ეს ერთობის გრძობა ისე განვითარებულია მაგალითად ველურ ესკიმოსებში, რომ მათ შორის უდიდესი დასჯაა, როცა დამნაშავეს გამოიყვანენ და მთელი საზოგადოების წინაშე შეარცხვენ.

ესკიმოსებს შორის ვერ ნახავთ მდიდრებს: მთელი მათი ქონება საერთოა. ერთი მგზავრი მოგვითხრობს, როგორ დაესწრო იგი ერთ საყურადღებო ამბავს: უცხოეთში გამდიდრებულ ესკიმოსის სამშობლო სოფელში დაბრუნებას. ამ კაცმა თავი მოუყარა თავის მეზობლებს, გაუზიარა ყველას თავისი შეძენილი სიმდიდრე და შემდეგ მიმართა სიტყვით: თუცკ ყველაფერი, რაც შევიძინე დავკარგე, სამაგიეროდ თქვენი მეგობრობა შევიძინეო.

საყურადღებო ცნობებს გვიზიარებს ველურ ალეუტებს შესახებ ცნობილი მისიონერი ვენიამინოვი, რომელმაც ათი წელიწადი დაჰყო მათ შორის. როცა ალეუტებში შემშილობაა, ისინი ყველაზე წინ ბავშვებს აკმევენ, თვითონ-კი მშვირები რჩებიან. ძნელად თუ დაჰპირდებიან ვისმეს რამეს, მაგრამ, თუ დაჰპირდნენ, უეჭველად ასრულებენ. ერთმა ალეუტმა ვენიამინოვს გამხმარი თევზი აჩუქა. ვენიამინოვი ისე წავიდა სადაც დროებით, რომ ამ თევზის წაღება დააიწყდა. ალეუტებს შორის დიდი შიმშილობა ჩამოვარდა, მაგრამ არც ერთი მათგანი ვენიამინოვისათვის ნაჩუქარ თევზს არ მიჰკარებია.

არაჩვეულებრივი საშუალებით არცხვენენ ალეუტები იმ თავის ამხანაგს, რომელიც საერთო სადილის დროს ხარბად სქამს: რამდენიმე კაცი ერთბაშად წამოდგება და თავის კერძს ამ ხარბ ამხანაგს აძლევენ.

იმ მხარეში, სადაც ვენიამინოვი მოღვაწეობდა, სამოცი ათასი ალეუტი ცხოვრობს და ორმოცი წლის განმავლობაში იქ მხოლოდ ერთი შველელობა მოხდა.



დიდად საყურადღებოა მოღვაწეობა ავსტრალიის ველურებს შორის რუსეთის ცნობილი მოგზაურისა და მეცნიერის, მიკლუხა-მაკლაის. იგი გაემგზავრა იქ ერთი ამხანაგის თანხლებით. როცა გემიდან ნაპირზე გადავიდნენ, ველურები გამოცვივდნენ თავის ბანაკიდან და მტრულად დაუბუნდნენ. მგზავრებმა ის იარაღი, რომელიც ხელში ეჭირათ, მიწაზე დაყარეს და უძრავად იდგნენ. ველურები გაოცდნენ: ამისთანა ამბავს ჩვეული არ იყვნენ. გარს შემოერთყნენ უცხოელ სტუმრებს და ნელ-ნელა შუბებით ჩხვლეტა დაუწყეს. იმათ პასუხი არ გაუციათ. მაშინ ველურებმა დაატყვევეს ისინი და თავის სოფელში წაიყვანეს. მიკლუხა-მაკლაიმ მკურნალობა იცოდა და თან-და-თან, როცა სოფელს გაეცნო, ავადმყოფებს მკურნალობა და მოვლა დაუწყო. ისე შეაყვარა ამ არაჩვეულებრივმა ადამიანმა თავი ველურებს, რომ უმისოდ ველარ სძლებდნენ; როცა სამშობლოში დაბრუნება დააპირა, პირობა ჩამოართვეს, რომ ერთი წლის შემდეგ უნდა დაბრუნებულყო. დაპირდა და აასრულა კიდევ დანაპირები.

ველურებს არ სჯეროდათ, რომ საყვარელი სტუმარი დაუბრუნდებოდა და როცა ერთი წლის შემდეგ გემი მოადგა იმათ კუნძულს და ნავში ვილაც გადმოსვეს, ველურებმა იფიქრეს, ვინმე ჩვენ სამტროდ მოსული იქნებაო; მაგრამ მალე შორიდან იცნეს მოკლაუხა-მაკლაი, თავის ნავებში ჩაცვივდნენ, შეიგებნენ, მერე, ნაპირს რომ მოაღწიეს, ხელში აიყვანეს თავისი ძვირფასი მეგობარი და ისე წაიყვანეს სოფელში. აქ მას დიდად ეოცა, როცა თავისი დატოვებული კარავი ყრუდ, უკაროდ ლობე-შემოვლებული დახვდა. გაარღვიეს ველურებმა ლობე, სტუმარი თავის კარავში შეიყვანეს, სადაც მან მაგიდაზე დატოვებული სხვა-და-სხვა ნივთები თავის ალაგას ხელუხლებელი ნახა. ლობეც იმიტომ შემოველოთ და დაეყრუებინათ ეს ეზო ველურებს, რომ მათი ძვირფასი მეგობრის ნივთებისათვის ხელი არავის ეხლო: წმინდათა-წმინდასავით ინახავდნენ.



ამით ვასრულებ ველურების კეთილ თვისებათა ამბავს. ნურავინ იფიქრებს, რომ ისინი უნაკლულო და უცოდველი ხალხი არიან. ბევრი მანვე თვისება მოსდგამს იმათაც, როგორც საზოგადოდ ადამიანებს, მაგრამ ამაზე ხშირად და დაქარბებით უწერიათ, ველურთა კეთილ თვისებათა-კი ნაკლებად შეჰხებიან.

ილია ნაკაშიძე.



ესკიმოსები.



შეღარებითი ანატომიიდან

ივანე სკვინციძე

ალეპული ფაქტები

(დასასრული).



ერდის საცურავე ფრთები ევშაპისა და პინგვინისა, ანუ ფრთები ლამურასი და მტაცებელი ფრინველისა—ანალოგიური ორგანოებია:—ისინი ერთსა და იმავე დანიშნულებას ემსახურებიან, აგებულება-კი სხვა-და-სხვა აქვთ. ლამურასი ზ ფრინველის ფრთები გარდაქმნილი წინა ფეხებია ცხოველთა, მაგრამ სულ სხვაგვარად. ფრინველისთვის საჭიროა მისმა ფრთებმა რაც შეიძლება მეტი სიბრტყე იქონიოს, რადგან ეს გარემოება იმას საშვალეებას აძლევს ჰაერში თავი დაიქიროს. სწორედ ამიტომ ამოსდის ფრინველს ფრთებზე გრძელგრძელი და ფართე ბურტყლები, რომელიც ფრთების სიბრტყეს რამდენჯერმე აღიდებს. ამავე მიზნით ლამურას ფრთისა და ფეხების თითებ შორის თხელი ტყავი—აბკი აქვს გაბმული.

ცხოველებში შედარებითმა ანატომიამ ერთი საყურადღებო მოვლენა აღმოაჩინა: თუ ორ ცხოველს ჩვენ უპოვეთ ორი ჰომოლოგიური, ესე იგი სხეულის ერთგვარად აგებული ორგანო, თამამად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ ცხოველების სხვა ორგანოებიც ერთმანეთს ჰგვანან. ერთი

სიტყვით—სხეულის ორგანოების მზგავსება არასოდეს განისაზღვრება ერთითა ან ორით, არამედ ეს მზგავსება, თითქმის ყოველთვის, სხეულთა ორგანოების გაცილებით მეტ რიცხვზე ვრცელდება; მაგალითად დათვისა და ვეშაპს ერთმანეთის მზგავსი აქვთ, წინა ფეხებს გარდა,—გული, ფილტვები, თვალეები, სტომაქი და ბევრი სხვა ორგანოც.

ეს მოვლენა ადვილი ასახსნელია, თუ ცხოველების ჯიშთა, ანუ სახეთა წარმოშობის მოძღვრებას მივიღებთ მხედველობაში: ამ მოძღვრების თანახმად სხვა-და-სხვა ცხოველი ხომ ერთსა და იმავე წინაპრისაგან წარმოსდგება, მაშასადამე რა არის გასაკვირველი იმაში, რომ ისინი ერთმანეთსა ჰგვანან? თავიანთ სხეულთა ერთნაირი ანუ მზგავსი აგებულება საერთო წინაპრისაგან მემკვიდრეობით მიიღეს, და სწორედ ამიტომაცაა, რომ იმათი სხეულების ყველა ორგანოები ჰომოლოგიური, ერთი მეორეს მზგავსია, თუმცა, შეიძლება, დანიშნულება იმათ სხვა-და-სხვა ჰქონდეს.

პირიქით, შეიძლება ორ ცხოველს ანალოგიური, ესე იგი—ერთისა და იმავე მოქმედების აღმასრულებელი ორგანო ჰქონდეს, მაგრამ ჩვენ არ გვეჩნება უფლება აქედან ის დავასკვნათ, რომ იმათ სხეულის სხვა ორგანოებიც ანალოგიური აქვთ.

ვეშაპისა და პინგვინის შკერდის საცურავი ფრთები ანალოგიურია, მაგრამ იმათი კუდი და თავის ქალა ანალოგიური როდია.

ანალოგია სხეულის ორგანოთა შორის ვითარდება მაშინ, როცა ისინი ერთსა და იმავე როლს ასრულებენ: ფრინველს, მუდამ ჰაერში მონაფარდეს, ფრთები აბია, ფრინველს, მუდამ წყალში მცურავს-კი—საცურავი ფრთები.

დაუბრუნდეთ კიდევ ვეშაპს. როგორც უკვე ვიცით, ვეშაპს უკანა ფეხები არა აქვს. მაგრამ შიგ-ხორცში ჩვენ შევიძლია უპოვოთ ზოგ მათგანს ფეხის ერთი ძვალი. არიან



ისეთი ვეშაპებიც, რომელთაც ფეხის ორი ძვალი აქვთ შეზღუდული. ამ ძვლებს ცხოველისათვის არაერთი მნიშვნელობა არა აქვს; იმათი უქონლობა ვეშაპს არაფერს არ აენებდა; და მართლაც ბევრი იმათგანი ასეთ ძვლებს სრულებით მოკლებულია. ცხოველთა და მცენარეთა სხეულში ბევრი ყოველგვარ მნიშვნელობას მოკლებული ნაშთია. იმათ მეცნიერები სხეულის **რუდიმენტალურ ორგანოებს** უწოდებენ.

რუდიმენტალური ორგანო ცხოველთა შორის ხშირი მოვლენაა. გრენლანდიის ვეშაპს არც ერთი კბილი არა აქვს. მის შვილს-კი დედის მუცელში, დაბადებამდე, ორივე ყბა კბილებით აქვს გაჭედილი. და ეს კბილები, რაც უფრო იზრდება ჩანასახი, თან-და-თან ქრება. ასეთსავე მოვლენას ჩვენ მკობნელ ცხოველთა შორისაც ვხედავთ. მაგალითად, ძროხას ზედა ყბაზე წინა კბილები არა აქვს. ხბოს-კი ზედა ყბაზე წინა კბილები დაბადებამდევე ამოსდის, ქვედა ყბაზე-კი წინა კბილები დაბადების შემდეგ ამოსდის და ეზრდება; ზედა ყბის წინა კბილები უმოქმედობის გამო თან-და-თან ქრება.

აი კიდევ მაგალითი: როგორც მოგეხსენებათ, **თხუნველა**. მთელ სიცოცხლეს მიწაში, ბნელით მოცულ სოროებში ატარებს; ამ ცხოველს ძალზე პატარა თვალები აქვს და ისინიც ბეწვშია სრულებით დამალული. აშკარაა, რომ ის თვალების შემწვობით ვერაფერს ხედავს. თვალებით მას შეუძლიან მხოლოდ გაიგოს—მის გარშემო ბნელა, თუ სინათლეა. მიუხედავად იმისა, რომ თხუნველას თვალების დანიშნულება ასეთი უბრალოა, იმათი შინაგანი აგებულება არაფრით არ განირჩევა სხვა ცხოველთა თვალების აგებულებისაგან.

ასეთი განუვითარებელი თვალები სხვა მრავალ ცხოველსაც აქვს, რომელნიც სიცოცხლეს გამოქვაბულებში, მიწაში, ზღვის ფსკერზე, ანუ სინათლეს მოკლებულ სხვა ადგილებში ატარებენ.

მშვენიერ მაგალითს რუდიმენტალურ ორგანოს მქონე,

ცხოველისას წარმოადგენს ერთი ფრინველი, სახელად კვეცი, რომელიც ახალ ზელანდიაში ცხოვრობს. ამ ფრინველს ფრენა არ შეუძლია. მას, რომ შეხედოთ, ფრთების ნასახსაც ვერ შეამჩნევთ, მაგრამ ჩონჩხი რომ გაუშინჯოთ, იმ ადგილას, სადაც ფრთები უნდა ჰქონოდა, ფრთების ძვლებს ვიპოვით: ერთს მხარისას, ორს იდაყვისას და ერთს თითისას. ეს ძვლები ძალზე პატარა და განუვითარებელია.

რა მნიშვნელობა აქვს ამ ძვლებს ფრინველისათვის? არავითარი: კივის ის სრულებით არ ესაჭიროება. რის მაჩვენებელია ეს ძვლები? ჩვენ სრულებით არ გვაკვირვებს ამ ძვლების არსებობა: პირიქით—უფრო ფრინველის დანახვაზე ჩვენ შეგვეძლო თამამად გვეფიქრა, რომ ამ ფრინველის ჩონჩხში, იმ ადგილას, სადაც მას ფრთები უნდა ჰქმოდოდა, ჩვენ ვიპოვით ფრთის ნაშთებს, იმ ფრთის, რომელიც მის წინაპრებს უსათუოდ ჰქონდა.

ჩვენა ვხედავთ, რომ ხელიკების უმეტესობას, როგორც ხერხემლიან ცხოველების უმეტესობას, ორი წყვილი ფეხი აბია. ვთქვათ, რომ ჩვენ შეგვხვდა ხელიკის რომელიმე უფეხო ჯიში. უფლება გვექნება ვიფიქროთ, რომ ფეხებს მოკლებულ ხელიკს კიდევ აქვს შერჩენილი ნიშანი იმ ფეხებისა, რომელიც ოდესღაც ესხა მის წინაპრებს. მართლაც არის ხელიკების ჯიში, რომელსაც ფეხები არ გააჩნია, მაგრამ, ჩონჩხი რომ გაუშინჯოთ, ფეხების ძვლებს უპოვით შესაფერადგილას.

გველი, როგორც მოგეხსენებათ, უფეხო ცხოველია. არც ერთს ჯიშს ამ ცხოველისას ფეხი არა აქვს. მიუხედავად ამისა მეცნიერება მტკიცედ ადგია იმ აზრს, რომ გველები ოთხფეხი ცხოველებისაგან წარმოსდგა. იმას ამტკიცებს ის ფაქტი, რომ ბევრ გველს კიდევ შერჩა ფეხების ადგილას ძვლები, რომელთაც ახლა არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ცხოველისათვის, მხოლოდ მკვერ-მეტყველი საბუთია იმისი, რომ გველის შორეული წინაპარი ოთხფეხი ცხოველი ყოფილა.

ჩვენ მოვიყვანეთ მაგალითები შედარებითი ანატომიის, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ რუდიმენტალური ორგანოები ხშირია მცენარეთა შორისაც.

რუდიმენტალური ორგანოები სხეულისა ფრიად შესანიშნავი და თან ადვილად ასახსნელი მოვლენაა, თუ გავითვალისწინებთ განვითარების ისტორიას იმ ცხოველისას, რომელშიაც იმას ებოვებთ. ვეშაპის ჩონჩხში ნაპოვნი ფეხის ძვლები მაჩვენებელია იმისა, რომ ამ ცხოველის წინაპრებს ოდესღაც ორი წყვილი ფეხი ებათ.

დიდი, დიდი ხნის წინად ძროხის წინაპრებს ზედა ყბაზედაც ჰქონიათ წინა კბილები, რომელიც ახლა მხოლოდ მის ხზოს აქვს და ისიც დაბადებამდის.

თხუნელა წარმოსდგა თვალ-ხილულ ცხოველებისაგან; კივი—მფრინავ ფრინველებისაგან, და სხვა.

ასეთი დასკვნა გამომდინარეობს მოყვანილ ფაქტებიდან. მეტსაც ვიტყვი: ამ ფაქტების შემწეობით შეგვიძლია დაახლოვებით წარმოვიდგინოთ ის სურათი, რომელსაც ცხოველთა განვითარება, მისი ნელი, თანდათან იცვალა წარმოადგენს.

ზოგი ვეშაპის ჩონჩხში ჩვენ ახლაც ეპოულობთ ბარძაყის ძვლებს და ამას ვხსნით იმით, რომ მის წინაპრებს უკანა ფეხები ჰქონდა, როგორც სხვა ძუძუმწოვარა ცხოველებს. მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ვეშაპის წინაპარს უკანა ფეხები ერთბაშად როდი გაჰქრობია: ეს პროცესი თან-და-თან, ნელი და ძალზე გრძელი იყო; ის ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ამგვარად: უკანა ფეხები ცხოველისთვის საჭირო არ იყო, ამიტომ უმოკმედობის გამო თან-და-თან მოკლდებოდა, პატარავდებოდა, და ეს ცვლილება, რასაკვირველია, ერთი თაობიდან მეორეზე გადადიოდა, .. დაღვა ისეთი დრო, როცა ის სრულებით გაჰქრა, მხოლოდ ამისი ნაშთი-ღა დარჩა სხეულში პატარა ძვლების სახით; მაგრამ ამ ძვლების რიცხვიც



თან-და-თან მცირდებოდა და ზოგ ვეშაპს სრულებით გაუქმდა და მართლაც არიან ისეთი ვეშაპები, რომელთაც უკანა ფეხების ძვლების კვალიც-კი აღარ გააჩნია.

ერთი სიტყვით—რუდიმენტალური ორგანო გარდამავალია, გაქრობის გზას ადგია. აი რას ამბობს დარვინი სხეულის რუდიმენტალურ ორგანოს შესახებ: „რუდიმენტალური ორგანოები მაჩვენებელია ორგანიზმთა წინანდელ მდგომარეობისა, —შქვერპიტყველი მატრიანეა ორგანიზმთა განვითარებისა. ისინი დღეს სრულებით უსარგებლონი არიან, არც უნდა ჰქონდეთ ადგილი ცხოველთა ორგანიზმში, მაგრამ, თუ ეს ასე არაა, ეს მემკვიდრეობითი კანონით აიხსნება.


რუდიმენტალური ორგანოები სხეულისა ჩვენ შეგვიძლია შევადაროთ რომელიმე ენის იმ ასოებს, რომელთაც დღეს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ენისათვის, მაგრამ წინად აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა. მეცნიერებისთვის-კი ამ ასოებს დიდი მნიშვნელობა აქვს: მათი შემწეობით ფილოლოგია ბევრ ბნელ კითხვებს მოჰფენს ნათელს.“

თუ აღიარებთ ჯიშთა, ან-უ სახეთა წარმოშობა-განვითარებას საერთო წინაპრებისაგან, ადვილი ასახსნელი იქნება რუდიმენტალური ორგანოების არსებობა; ჩვენ მაშინ სულ ადვილად შეგვიძლია უპასუხოთ კითხვაზე: რას მოქმედებენ ისინი, როცა არავითარ დანიშნულებას არ ექსახურებიან? მაგრამ ეს მოვლენა სრულებით გაუგებარი დარჩება ჩვენთვის და, მაშასადამე, მის ახსნასაც ვერ შევძლებთ, რომ უარვყოთ განვითარების თეორია და იმ აზრს დავეთანხმოთ, რომ ცხოველთა სხვა-და-სხვა სახე დასაბამიდან იყო გაჩენილი და იმათ არავითარი ცვლილება არ განუცდიათ;

მოყვანილი ფაქტები აღებულია შედარებითი ანატომიიდან. ეს მცირე-რიცხოვანი ფაქტები, რასაკვირველია, ჩვენ არ გვიხატავს დაწვრილებით, მთლიან სურათს, მაგრამ გვაჩვენებს თვალსაჩინო და დამაბასიათებელ ხაზებს იმ სურათისას,

რომელსაც ცხოველთა სამეფოს განვითარება წარმოადგენს დასახელებული ფაქტები ერთი ცვარია ზღვაში იმ ფაქტებთან შედარებით, რომელიც ხელთ აქვს შედარებით ანატომიას. და მთელი მრავალ-რიცხოვანი კრებული ამ ფაქტებისა მხოლოდ ერთ აზრს ლაღადებს, ერთ აზრს ამტკიცებს და ნათელჰყოფს,—სახელდობრ იმას, რომ ყველაფერი, რაც ახლა ცოცხლობს, წინად ისეთი არ იყო, როგორიც ახლა არის,—რომ ახლანდელი ცხოველები შედეგი არიან თანდათან, ნელი, მრავალ საუკუნეთა განმავლობაში მომდინარე იმ ცხოველთა განვითარებისა, რომელნიც სხვაგვარი აგებულებისა იყვნენ.

გ. ანთელიძე.





შ ა რ ა ლ ე ბ ი

(წარმოდგენილი პ. ნიორაძის-მიერ).

რაც ოთხფეხი ყველა სხვაზე
ნელა დადის და არ კვნესის,
დართე უხმო—და შემდეგ, რაც
თავ და კულ შუა ცხოველსა აქვს;
ერთად—ცხენისა და კაცისათვის
აკეთებენ:—ტფირთი სრესავს.



თუ მიწის სახვნელ იარაღს
ორჯელ ზედიზედ აიღებთ,
პირველად ბოლოს მოაკლებთ,
ერთად—ქალაქსა მიიღებთ.



რ ე ზ უ ს ი.

(წარმოდგენილი თინას-მიერ).

უ „ ზამთარში რა მოდის? „  „ ლამეს რა სცელის? უ  „

„  „ ი  „ ე  „ კაცის სახელი.

„  „ „  „ „  „ ს  „

„ ს  „  „  „

მე-6 №-ში მოთავსებულ შარადის აღსნა:
 თ ა მ ა რ ი.

